# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 28 ნოემბერი 2003 №227 (1998) | ფასი 50 თეთრი




ჰაიდუკი — რომა 1:1. რომაელების გადამრჩენი ბურთის გამტანი ანტონიო კასანო

# რომა გადარჩა

## თურქები ავარდნენ, გერმანელები გავარდნენ

## მოთბილისო ტეპლიცეს გუნდმა ფეიენოორდი ცივად გაისტუმრა



ტეპლიცე — ფეიენოორდი 1:1. ჩეხთა თავკაცმა ფრანტიშეკ სტრაკამ 2002 წლის უეფას თასის მომგებ ჰოლანდიელებს მეთექვსმეტედფინალი არ დაუთმო

# კობიაშვილმა და შალკემ ფოკუსი ვერ გაისწორეს



ლევან კობიაშვილის „შალკემ" პენალტებში ვერ ივარგა და ბოლოს „ბრონდბიუმ" გაიხარა

# რა ნახეს ინგლისელებმა ერიკსონში?



სვენ გორან ერიკსონი გაორდა: აქეთ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ექაჩება, იქით რომან აბრამოვიჩი

გუშინ ინგლისის ნაკრების შვედ მწვრთნელს კონტრაქტის 2008 წლამდე გაგრძელება შესთავაზეს



# ძველი დარდი ისევ დარდობს

## კარდიფში მშიერ ფეხბურთელებს სასტუმროს ჰოლის მაგიდაზე ღორებივით დაგვიყარეს ჩიპსები

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან და არჩილ არველაძესთან იხილეთ მეხუთე გვერდზე



„ბრონდბიუ" — „შალკე". გერმანელი ვიქტორ აგალის ამ მოხდენილ თავურს გოლი მოჰყვა



REUTERS

„სოშო" — „დორტმუნდი". სტუმართა ჩეხი გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი ფრანგებმა ალყაში მოამწყვდიეს



REUTERS

„ჰართსი" — „ბორდო". სტუმრები რიერას ამ გოლით დაწინაურდნენ

# უეფას თასი

UEFA CUP 1/32 ფინალი. საპასუხო მატჩები. ... UEFA CUP

დინამო (რუმინეთი) 3:1 *სპარტაკი (რუსეთი)* (0:4)

1:0 დანილესკუ (29), 2:0 გრიგორე (59), 3:0 დანილესკუ (75პ), 3:1 პარფიონოვი (85პ)

*გიორგი ლომაია სათადარიგო იყო*

*ბრონდბიუ (დანია)* 2:1დ.დ.(პენ.3:1. 2:1) შალკე (გერმანია) (1:2)

1:0 იაკობსენი (15პ), 1:1 აგალი (55), 2:1 იონსონი (70)

შალკე: როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, კამპიუსი, მატელანი, კობიაშვილი, პოულსენი (ვერმანტი 83), პინტო (ასამოა 73), ალტინტოპი, ჰანკე (სანდი 91), აგალი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

*ლევსკი (ბულგარეთი)* 0:0 სლავია (ჩეხეთი) (2:2)

*დნიპრო (უკრაინა)* 1:1 დინამო (ხორვატია) (2:0)

0:1 სადლოსკი (62), 1:1 ვენგლინსკი (64)

ლანსი (საფრანგეთი) 1:3 *გაზიანთეპი (თურქეთი)* (0:3)

0:1 ბიულენთი (40), 0:2 ნამლი (55), 1:2 ბუაზიზი (73ს.კ.), 1:3 ლაზაროვი (85პ)

*ოსერი (საფრანგეთი)* 4:0 უტრეხტი (ჰოლანდია) (0:0)

1:0 ჯ. სისე (21), 2:0 კაპო (29), 3:0 ჯ. სისე (48), 4:0 კალუ (58)

ვისლა (პოლონეთი) 0:0დ.დ.(პენ.3:4. 0:0) *ვოლერენგა (ნორვეგია)* (0:0)

ჰართსი (შოტლანდია) 0:2 *ბორდო (საფრანგეთი)* (1:0)

0:1 რიერა (8), 0:2 ფაინდუნო (66)

*ბარსელონა (ესპანეთი)* 2:0 პანიონიოსი (საბერძნეთი) (3:0)

1:0 სავიოლა (34), 2:0 ლუის გარსია (44)

სპორტინგი (პორტუგალია) 0:3 *გენჩლერი (თურქეთი)* (1:1)

0:1 ტანდოგანი (44), 0:2 ოზკანი (46), 0:3 ჯიჰანი (49)

ტორპედო (რუსეთი) 1:0 *ვილიარეალი (ესპანეთი)* (0:2)

1:0 სემშოვი (71)

*ვროცლავი (პოლონეთი)* 0:0 მანჩესტერ სიტი (ინგლისი) (1:1)

*მალიორკა (ესპანეთი)* 1:1 კოპენჰაგენი (დანია) (2:1)

1:0 კამპანო (69), 1:1 ალბრეტსენი (87)

*ნიუკასლი (ინგლისი)* 1:0 ბაზელი (შვეიცარია) (3:2)

1:0 სმილიანიჩი (14ს.კ.)

*სოშო (საფრანგეთი)* 4:0 დორტმუნდი (გერმანია) (2:2)

1:0 ფრაუ (5), 2:0 სანტოსი (67), 3:0 ორუმა (76), 4:0 მატიუ (90)

*პარმა (იტალია)* 5:0 ზალცბურგი (ავსტრია) (4:0)

1:0, 2:0 კარბონე (1, 25), 3:0 ფილიპინი (43), 4:0, 5:0 სორენტინო (47, 86)

*ტეპლიცე (ჩეხეთი)* 1:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია) (2:0)

0:1 სნოილი (38), 1:1 ჰორვატი (41პ)

მიოლდე (ნორვეგია) 0:2 *ბენფიკა (პორტუგალია)* (1:3)

0:1, 0:2 ტიაგო (30, 44)

ჰაიდუკი (ხორვატია) 1:1 *რომა (იტალია)* (0:1)

1:0 ბულე (33), 1:1 კასანო (85)

არისი (საბერძნეთი) 1:1 *პერუჯა (იტალია)* (0:2)

0:1 მარჯიოტა (27), 1:1 პაპადოპულოსი (90)

*ლივერპული (ინგლისი)* 1:0 სტიაუა (რუმინეთი) (1:1)

1:0 კიუელი (47)

*დებრეცენი (უნგრეთი)* 0:0 პაოკ (საბერძნეთი) (1:1)

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 0:1 *რუსენბორგი (ნორვეგია)* (0:0)

0:1 ბრატბაკი (51)

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ვალენსია (ესპანეთი) (0:0) *გადაიდო*

*ჩემპიონთა ლიგის V ტურის გადადებული მატჩი „გალათასარაი" – „იუვენტუსი" უეფას გუშინდელი გადაწყვეტილებით 2 დეკემბერს გერმანიაში, დორტმუნდში გაიმართება*

**მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი საამიროები**

**A ჯგუფი. 1 ტური**

**საამიროები 1:4 სლოვაკეთი**

**ირლანდია**

**პრემიერდივიზიონი გადადებული მატჩი**

**სენტ პატრიკსი 1:2 ლონგფორდი**

## კალათბურთი

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 27 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ოლიმპია 63:69 ბარსელონა

აეკ 71:83 პო ორტეზი

პარტიზანი 93:81 ციბონა

**B ჯგუფი**

უნიკახა 72:74 ჟალგირისი

კრკა 86:74 სიენა

სკიპერი 104:111დ.დ.(97:97) მაკაბი

**C ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 57:69 ეფესი

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" თანაუგრძნობს ტელეკომპანია „ევრიკას" სპორტულ მიმომხილველს ალეკო ლეჟავას

**დედის**

გადაცვალების გამო

# მოსკოვში ფული, ფრანკფურტში წილი მოვიდა, მწვრთნელი მოვიდა?

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ფიფა-უეფას ფინანსური პროგრამების საორგანიზაციო საკითხების განხილვა-დამუშავებისთვის შეკრებილ აღმოსავლეთევროპელ კოლეგებთან ერთად მოსკოვში იმყოფება და თბილისში დღეს ბრუნდება. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მოსკოვში ფიფას პროგრამა „გოლისა" და მისი უეფასეული ანალოგის — „ჰეთ თრიქის" სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა. ჩოლარია და მისი კოლეგები ფიფა-უეფას ინსტრუქტორებისგან კონსულტაციებს იღებდნენ ფინანსური დახმარების საკითხებში.

ზეგ ვალერი ჩოლარია უკვე გერმანიას გაემგზავრება საქართველოს ნაკრები გუნდების შესაძლო ტექნიკურ სპონსორ „პუმასთან" საბოლოოდ მოსალაპარაკებლად და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაზე დასასწრებად.

ჩოლარიას გერმანიაში ორშაბათსამშაბათს ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე შეუერთდებიან. კენჭისყრას, რომელიც, შეგახსენებთ, დღეის სწორს ფრანკფურტში შედგება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე პარტნიორი ფირმის წარმომადგენლებიც დაესწრებიან. სწორედ მათთან ერთად, კენჭისყრის შემდეგ, ჩვენები ნაკრებში ახალი მწვრთნელის მოწვევაზე დეტალურ მოლაპარაკებებს დაიწყებენ. არ არის გამორიცხული, საქართველოს ნაკრების ახალი თავკაცის ვინაობა ფედერაციამ ფრანკფურტშივე გამოაცხადოს.

**ძოგა ინასარიძე**

# რუსს ბურდული უნდა, ბურდულს დასავლეთი

*თბილისის „დინამოს" ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი რომ დატოვებს, ამის თაობაზე ბევრჯერ ითქვა. ითქვა იმ ფეხბურთელებზეც, რომლებსაც კლუბთან კონტრაქტები დეკემბერში უმთავრდებათ და წასვლა გადაწყვეტილიც აქვთ – ვიტალი დარასელია, რატი ალექსიძე და ოთარ ხიზანეიშვილი „დინამოში" პირველი ეტაპის ორ მატჩსაც ჩაატარებენ და გუდა-ნაბადს აიკრავენ. ამბობენ, საქართველოს ჩემპიონთან განშორებას ლადო ბურდულიც ეშურებაო. თუმც მისი საქმე ისე არაა, როგორც ზემოხსენებული სამეულის. ლადოს კლუბთან კონტრაქტი ზაფხულამდე აქვს*



**გუშინ კი** ეს გავიგეთ: ლადო ბურდულს რუსული პრემიერლიგის „როსტოვი" ეპატიჟება, ტრანსფერისწინა მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და შესაძლოა, ლადო როსტოვს გაემგზავროსო. გუშინვე „დინამოს" მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა ეს ინფორმაცია დაადასტურა და ისიც დაამატა, ბურდულით სხვა რუსული და დასავლეთევროპული კლუბებიც არიან დაინტერესებულიო. პეტრიაშვილის თქმით, ბურდული კარიერას იქ გააგრძელებს, საიდანაც „დინამოსა" და ფეხბურთელს უკეთეს პირობებს შესთავაზებენ.

თავად ბურდულს კი სულაც არ ხიბლავს რუსეთში თამაშის პერსპექტივა, კარიერის დასავლეთში გაგრძელების სურვილი აქვს, თუმც არც რუსეთიდან მიღებულ წინადადებებს უარყოფს.

— ურთიერთობა მე მხოლოდ თბილისის „დინამოსთან" მაქვს და სწორედ კლუბში მოსული ამბები ვიცი. ვიცი, რომ რუსულ გუნდებს სურთ ჩემთან დაკავშირება. მაგრამ ჯერჯერობით ყველა წინადადებისგან თავს შორს ვიჭერ — გვითხრა ლადო ბურდულმა — ისიც ბუნებრივია, რომ გული უფრო დასავლეთ ევროპის ძლიერი საფეხბურთო ქვეყნებისკენ მიმიწევს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს რუსული ფეხბურთის დონე საგრძნობლად ამაღლდა, იქ თამაში არ მსურს.

**— დასავლეთ ევროპიდან წინადადებები გაქვს?**

— კი, რამდენიმე კლუბია ჩემით დაინტერესებული.

**— რომელი კლუბები, არ გვეტყვი?**

— გეტყვით, რომ ეს გუნდები ინგლისურ პრემიერლიგასა და ბუნდესლიგაში თამაშობენ.

**— და მხოლოდ ამ გუნდებთან გაქვს მოლაპარაკება?**

— კონკრეტულ საკითხებზე მოლაპარაკება ჯერ არავისთან მაქვს. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი დამთავრდება, ევროპაში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება და სამომავლო ტრანსფერზეც მშვიდად ვიფიქრებ.

**— მოკლედ, „დინამოდან" შენც მიდიხარ...**

— მთლად ასეც ნუ ვიტყვით. შესაძლოა, „დინამოში" კიდევ ექვსი თვე დავრჩე. გააჩნია, ჩემით დაინტერესებულ გუნდსა და მის შემოთავაზებას.

**ძოგა ინასარიძე**

*გორის „დილას" მცველმა გიორგი ბალაშვილმა 21 ნოემბერს თბილისურ „სპარტაკთან" მესამესე უმაღლესლიგური მატჩი ითამაშა, გუშინწინ კი ბათუმში 301-ედ გავიდა მოედანზე. გიორგის გუშინ დავუკავშირდით და „სამასიანთა კლუბში" შესვლა მივულოცეთ*

# ასე მგონია, ახლა ვიღვიძებ

## ბალაშვილს საკუთარი იუბილე გამოეპარა

— პირველად გავიგე, ნაღდად არ ვიცოდი, თუ ამდენი მატჩი მქონდა ნათამაშები.

**— ამდენი წელია თამაშობ და, აგერ, რეკორდსმენებშიც გაერიე. კიდევ რა დაგრჩა გასაკეთებელი?**

— საკეთებელს რა გამოლევს, დასვენება ჯერ ადრეა, თამაშს თავს კი არ ვანებებ. ჯერ მთელი შესაძლებლობები არ მიჩვენებია. ახლა ვიღვიძებ. სათქმელი კიდევ დამრჩა და ვიტყვი კიდეც.

**— უმაღლეს ლიგაში 301 მატჩი ჩაატარე. რომელია ის, რომელსაც ვერ დაივიწყებ?**

— არ ვიცი... ასე კონკრეტულად ერთ მატჩზე რა გითხრა? ყველა თამაში თავისებურად საინტერესოა, სულ მოგება გინდა და ამ განწყობით გადიხარ მოედანზე. ალბათ, უფრო თასის ფინალები, განსაკუთრებით 2000 წლისა იყო სხვათაგან გამორჩეული. თუმცა, მგონი, ეს მატჩები იმ სამასში არ ითვლება.

**— რომელი თამაშის დავიწყებას ისურვებდი? რომელია შენთვის ყველაზე ავადმოსაგონარი?**

— ასეთი ძალიან ბევრია. რომ ჩამოვთვალო, შორს წავალთ, მაგრამ ახლახან ბოლნისის „სიონთან" ნათამაშებმა ხმაურიანმა მატჩმა ყველას „აჯობა". ამაზე უარესი ალბათ ტრავმა თუ იქნებოდა ჩემთვის. საშინელება იყო.

**— ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი ვის კარში გაგიტანია?**

— მცველისთვის გოლი მაინც იშვიათია. მართალია, არიან ისეთი მცველებიც, რომლებიც ხშირად გააქვთ, მაგრამ ჩემთვის ყველა გოლი მნიშვნელოვანია. ბევრი არ გამიტანია, მაგრამ რაც არის, ყველა მახსოვს.

**— ამ 301 მატჩიდან ერთი ისეთი იყო, მეგონა, ყველაზე ავადმოსაგონარებში ახსენებდი. „დინამო" — „ლოკომოტივზე" გეკითხები. მაშინ მსაჯის ცემისთვის ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოგცეს. ახლა როგორ გაიხსენებ იმ მატჩს?**

— ძალიან დიდი სინანულით. ჩემი საქციელით ბევრი დავკარგე. წლები რომ გავიდა, მივხვდი, რომ უდიდესი შეცდომა დავუშვი. რაც უნდა მომხდარიყო, თავი უნდა შემეკავებინა.

**— დისკვალიფიკაციის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, მოიხადე. მერე შეგიწყალეს და სასჯელი გაგიუქმეს. ფეხბურთში დაბრუნება არ გაგიჭირდა?**

— რა თქმა უნდა, ძნელია იმხელა შესვენების შემდეგ ფორმაში ჩადგომა, მაგრამ დიდად მაინც არ გამჭირვებია. პატარა ბიჭი არ ვიყავი, უთამაშებლობას რომ საპირისპიროდ შეეცვალა ყველაფერი. თან გუნდთან ერთად ჩვეულად ვვარჯიშობდი და ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობდი. უბრალოდ, თამაში მენატრებოდა. დისკვალიფიკაციის მოხსნის შემდეგ პირველივე მატჩში გოლიც გავიტანე. ძალიან გამიხარდა, რომ თამაში ისევ შემეძლო.

**— უმაღლეს ლიგაში ჭიპმოჭრილად ითვლები, თან მთელი კარიერა სტაბილურად, ჩავარდნის გარეშე თამაშობ. რას ეტყვი ახალ თაობას, რა უშლით მათ ხელს სტაბილურობაში?**

— ალბათ მონდომება და პროფესიონალიზმი აკლიათ. ისე, ცოტა ჭკუაც უნდა ჰქონდეს ფეხბურთელს.

**— ნაკრებში თამაშიც მოასწარი, მაგრამ მცირე ხნით...**

— ნაკრები ყველა ფეხბურთელის ოცნებაა და ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ამის გემო ვიცი. მართალია, მხოლოდ რამდენიმე მატჩი ვითამაშე, მაგრამ მაინც ძალიან მიხარია. ბევრს ესეც არ ღირსებია.

**— რატომ ვერ დაიმკვიდრე ადგილი?**

— ეს შეკითხვა მე არ მეკუთვნის. მწვრთნელების კომპეტენციაა და მათ ეცოდინებათ, რატომ დამივიწყეს.

**— ახლა რას აპირებ?**

— ყველაზე მეტად ის მინდა, რომ „დილა" ექვსეულში მოხვდეს. ეს არის უპირველესი მიზანი. და კიდევ, ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდთან ერთად უეფას თასზე ვითამაშო. ძალიან მინდა, რომ „დილაში" რაიმე ღირებულს მივაღწიო.

**ძახა შალამბერიძე**



გიორგი ბალაშვილი

# გამოიდარებს კაიდარაშვილისთვის?

*გამორიცხული არ არის, გორის „დილამ" ალექსანდრე კაიდარაშვილის სასჯელის შემცირება მოითხოვოს. გეხსომებათ, კაიდარაშვილი „სიონი" – „დილას" სკანდალური მატჩის ერთ-ერთი მსხვერპლია. მსაჯ კახა მესხთან დაჯახება გორელ თავდამსხმელს ათთამაშიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. გორელები კი ირწმუნებიან, კაიდარაშვილი არაფერ შუაში იყო, ზედმეტად მკაცრად დაისაჯაო*



ალექსანდრე კაიდარაშვილი

გუშინ „დილას" პრეზიდენტ **გელა ჩხეიძეს** დავუკავშირდით, რომელმაც გაპროტესტება არც დაგვიდასტურა და არც უარყო, თუმც დასკვნის გაკეთება, ალბათ, არ გაგიჭირდებათ...

**— მართალია, რომ კაიდარაშვილის სასჯელის შემცირებას ითხოვთ?**

— რატომ უსწრებთ მოვლენებს? ამ საკითხზე იურისტები მუშაობენ და ჩვენი გადაწყვეტილება უახლოეს ხანში გახდება ცნობილი. ახლა ვერაფერს გეტყვით. ყველაფერს სადისციპლინო კომიტეტის მომავალ სხდომაზე გაიგებთ.

**— ესე იგი, ეს საკითხი სხდომაზე გავა?**

— ჯერ არ ვიცი. როცა „სიონი" — „დილას" მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახე, დავრწმუნდი, რომ კაიდარაშვილი უდანაშაულოა. ის გასაშველებლად გარბოდა და მსაჯს შემთხვევით შეეჯახა, რისთვისაც ასე მკაცრად დაისაჯა. ლაბაძე, ძოძუაშვილი და გოჩაშვილი საერთოდ გავუშვი გუნდიდან და ჯარიმაც გადავახდევინე. მათზე ხომ არაფერს ვამბობ?! ვნახოთ, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. კარგი იქნება, თუ სიმართლე გაირკვევა.

**ძახა შალამბერიძე**

საქართველოს 15 ჩემპიონატი — პირველი ეტაპი — 20 ტური

| | |
|---|---|
| დინამო 3:1 მცხეთა | სპარტაკი 0:2 ლოკომოტივი |
| კოლხეთი 0:6 თბილისი | ტორპედო 2:1 სიონი |
| ბათუმი 1:0 დილა | ვიტ ჯორჯია 2:0 მერცხალი |

სტატისტიკა კი არა, ცხოვრება

# ბალაშვილმა 300 გაარბენა



ჯგუფში 300

| | |
|---|---|
| თემურ ტულუში (ბათუმი - 304; დინამო - 9; კოლხეთი - 23) | 336 |
| ზურაბ იონანიძე (სამგურალი - 67; ტორპედო - 171; სამტრედია - 71) | 309 |
| გია ჩხაიძე (გურია - 104; კოლხეთი - 28; სამტრედია - 53; დინამო - 22; ტორპედო - 36; ლოკომოტივი - 11; მერანი - 8; ბათუმი - 19; სიონი - 21; მილანი - 5) | 307 |
| ჯიმშერ მარეხაშვილი (დილა - 301) | 301 |
| გიორგი ბალაშვილი (დილა - 165; ლოკომოტივი - 136) | 301 |

ვის ვის და, ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთაგან „ბალას" ნამდვილად შეუძლია თქვას, არც ბალზე ვზივარ და არც ტყემლის კურკას ვისვრიო.

„ლოკომოტივის" ყოფილმა და გორის „დილას" ამჟამინდელმა კაპიტანმა გიორგი ბალაშვილმა 13 წელიწადში ბევრი რამ ჩატია: პირველლიგელი „ქართლი", რუსული ანგუშტის „ნაზრანი", რკინიგზული კლუბის ლიდერობა, მასთან ერთად ორჯერ მოგებული საქართველოს თასი და ეროვნული ნაკრების მაისურა.

გასაოცარია, მაგრამ დაცვაში ყველგანმყოფი ბალაშვილი დღესაც ისეთივე მონდომებით გადის მოედანზე საბრძოლველად, როგორც 1992 წლის 10 აგვისტოს — სადებიუტო მატჩში და იქნებ ამიტომაც გაიკვირვა, მართლა 300-ჯერ ვითამაშეო.

ოთხი მოთამაშის დისკვალიფიკაციით სისხლგამოცლილ „დილას" ახლა, აბა, საამისოდ სად სცხელოდა. აკი გამოეპარა, რომ „სპარტაკთან" მატჩი მისი კაპიტნისთვის სწორედ საიუბილეო იყო, გუშინწინ ბათუმში კი იმ ზღურბლსაც გადააბიჯა, რომელიც თავის დროზე ბალაშვილის თანაგუნდელმა ჯიმშერ მარეხაშვილმა დააწესა და ისე შეეშვა თამაშს.

უეჭველია, ბალაშვილი მალევე ჩამოიტოვებს მარეხაშვილსაც, უკრაინაში გადახვეწილ იონანიძესაც და პირველ ლიგაში ჩამოლაბორანტებულ გია ჩხაიძესაც, მაგრამ ვიდრე თემურ ტულუში თამაშობს, ისევ თავის „მუდმივ" ნომერს „2" უნდა დასჯერდეს.

ტულუში, რომელმაც მარეხაშვილის რეკორდი ორმაგად გააუმჯობესა (ერთ კლუბშიც მეტი ითამაშა), სეზონის ბოლოს ალბათ 350-ს გადააბიჯებს.

გამტანი კაცი

# კოკას მოაქვს და მოაქვს



კოკა მიკუჩაძემ შარშანწინდელ გაზაფხულზე გაგვაცნო თავი „დინამოში" თამაშით და გოლებით. მერე დილომში ივო შუშაკი მივიდა და ხორვატმა ბრძანა, კოკა უნდა დაკაცდეს და მისთვისაც სჯობს, სხვა გუნდში გადავიდესო. კაფანდარა მიკუჩაძე ახლა „თბილისში" კაცდება. ბოლო ორ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა — აქედან ორი ფოთელებს აკმარა. თუმც გოლი კოკასთვის დოზანა საქმე არაა — დინამოელობის დროს ეს ევროტურნირზეც მოუხერხებია ბორისოველ ბატელებთან.

# მაინც ჩვენი იონა ხარ...



იონა! — იხუვლა გუშინ ხალხმა. ქუთაისურ სარბიელს „ტორპედოს" ძველი კაპიტანი და ლიდერი ზურაბ იონანიძე ეწვია. წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, აწ უკვე ტავრიელი „იონა" შვებულებას ქუთაისში ატარებს და, ცხადია, მშობლიური კლუბის საქომაგოდ მისვლაც არ დაიზარა. მით უმეტეს, როცა „ტორპედოს" ასე უჭირს. „იონას" ერთი-ორი გაეხუმრა კიდეც, იქნებ ითამაშოო, რაზეც ზურას გაეღიმა. თუმცა გუნდები მოედანზე რომ გავიდნენ, იონანიძემ თავად გასძახა ყოფილ თანაგუნდელებს: ჩამოვიდე?

პასუხის გამოცნობა არ გაგიჭირდებათ.

პოლიტკორექტული დეტალი

# კამპუში ტრავმირებულია — ენა გაიტეხა



გუშინწინდელი „ტორპედო" – „სიონი" მოედნის მიღმა, ტრიბუნებზეც საინტერესო და სახალისო გამოდგა. „მთავარ მოქმედ პირად", მისდა უნებურად, 19 წლის დებიუტანტი გიორგი ბურჯანაძე იქცა, რომელიც დისკვალიფიცირებული რომან ახალკაცის ნაცვლად თამაშობდა. ჰოდა, ფეხბურთელებისთვის თავისებური მეტსახელების („კვეტე", „კუტე", „ბაიანო", „მიჰო" და მისთანები) შერჩევაში გაწაფული ბრაზილიელი მწვრთნელი ჟოაო კამპუშიც ჩაირთო და, კი იძახა გამართული ქართულით „ბურჯანაძე", „ბურჯანაძე"... ქუთაისელმა ქომაგებმა, ცხადია, გაიოცეს და მაშინ იყო, ერთმა რომ თქვა, რა გიკვირთ, დაიმახსოვრებდა მაგის გვარს, აბა, რას იზამდა, ორი კვირაა, ტელევიზორში სხვა არაფერი ისმისო.

თაობა მიდის, თაობა მოდის

# კიდევ ერთი აი, შვილი!



მეც იაშკა ვარ — გვითხრა ამასწინდელ ინტერვიუში სანდრო იაშვილმა. „დინამოს" 18 წლის ფორვარდმა ამ ტურშიც გაიტანა გოლი, გამოცდილი, კლასიანი ფორვარდები რომ ახერხებენ, ისეთი, ხოლო მეორე ტაიმში სანდრო ერთ-ერთი საუკეთესო იყო „ეროვნულის" მინდორზე. ივო შუშაკს შემოდგომის ჩემპიონობის გარდა მონაგარში ისიც უნდა ჩაეთვალოთ, რომ „დინამოში" ძალიან საინტერესო ყმაწვილი გამოჩნდა — ზოგადად, „დინამოს" მწვრთნელისთვის მხოლოდ ჩემპიონობა მაზანდა არ უნდა იყოს.




| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 20 | 14 | 4 | 2 | 44:8 | 36 | 46 | 10 | 8 | 2 | 0 | 28:2 | 26 | 26 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:6 | 10 | 20 |
| 2 | სიონი | 20 | 10 | 7 | 3 | 28:16 | 12 | 37 | 10 | 7 | 2 | 1 | 18:9 | 9 | 23 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:7 | 3 | 14 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 19 | 10 | 5 | 4 | 32:13 | 19 | 35 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:4 | 15 | 21 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 4 | 14 |
| 4 | დილა | 20 | 10 | 3 | 7 | 28:19 | 9 | 33 | 10 | 8 | 1 | 1 | 18:5 | 13 | 25 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:14 | -4 | 8 |
| 5 | თბილისი | 20 | 9 | 4 | 7 | 39:25 | 14 | 31 | 10 | 6 | 2 | 2 | 23:12 | 11 | 20 | 10 | 3 | 2 | 5 | 16:13 | 3 | 11 |
| 6 | ლოკომოტივი | 20 | 9 | 4 | 7 | 30:22 | 8 | 31 | 10 | 7 | 2 | 1 | 19:7 | 12 | 23 | 10 | 2 | 2 | 6 | 11:15 | -4 | 8 |
| 7 | ბათუმი | 19 | 9 | 2 | 8 | 23:19 | 4 | 29 | 9 | 5 | 1 | 3 | 12:7 | 5 | 16 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:12 | -1 | 13 |
| 8 | ტორპედო | 20 | 8 | 4 | 8 | 21:25 | -4 | 28 | 10 | 7 | 2 | 1 | 16:7 | 9 | 23 | 10 | 1 | 2 | 7 | 5:18 | -13 | 5 |
| 9 | კოლხეთი | 20 | 6 | 3 | 11 | 15:30 | -15 | 21 | 10 | 3 | 2 | 5 | 9:19 | -10 | 11 | 10 | 3 | 1 | 6 | 6:11 | -5 | 10 |
| 10 | მცხეთა | 20 | 6 | 2 | 12 | 22:47 | -25 | 20 | 10 | 5 | 1 | 4 | 15:17 | -2 | 16 | 10 | 1 | 1 | 8 | 7:30 | -23 | 4 |
| 11 | სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 11:45 | -34 | 13 | 10 | 2 | 2 | 6 | 6:19 | -13 | 8 | 10 | 1 | 2 | 7 | 5:26 | -21 | 5 |
| 12 | მერცხალი | 20 | 2 | 4 | 14 | 17:41 | -24 | 10 | 10 | 1 | 3 | 6 | 6:13 | -7 | 6 | 10 | 1 | 1 | 8 | 11:28 | -17 | 4 |

## დარჩენილი მატჩები

| თერთმეტე ტური | თორმეტე ტური |
|---|---|
| 3 დეკემბერი, ოთხშაბათი | 7 დეკემბერი, კვირა |
| ბათუმი — სპარტაკი | სპარტაკი — მერცხალი |
| დილა — დინამო | ლოკომოტივი — თბილისი |
| მცხეთა — ტორპედო | ვიტ ჯორჯია — სიონი |
| სიონი — კოლხეთი | კოლხეთი — მცხეთა |
| თბილისი — ვიტ ჯორჯია | ტორპედო — დილა |
| მერცხალი — ლოკომოტივი | დინამო — ბათუმი |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 13 | გონჩაროვი | სიონი |
| | გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 12 | დავითაშვილი | თბილისი |
| 10 | ქაქალაძე | ბათუმი |
| | ახალაია | დინამო |
| 9 | ა. ქაიდარაშვილი | დილა |
| | მიკუჩაძე | თბილისი |
| 7 | მ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | გაბედავა | მერცხალი |
| | სირაძე | ლოკომოტივი |
| 6 | გაბისკირია | სიონი |
| | დარასელია | დინამო |
| | ალექსიძე | დინამო |




ბორის გონჩაროვი და რევაზ გოცირიძე

# ჭამთმოჭამული ამბები

## კაპიტანი და ტყუპისცალი ჩივაძიდან ჩივაძემდე





*5 დეკემბრამდე ბევრიც არაფერი დარჩა — გერმანია 2006-ის შესარჩევი წილისყრა გაიმართება და საქართველოს ნაკრების ახალი მეტოქეებიც გაირკვევიან, რასაც ახალი მწვრთნელის დანიშვნა მოჰყვება და გულშემატკივარიც ახალი იმედით აინთება — საქართველოს ნაკრები თავის მე-6 შესარჩევ ციკლს შეუყვება.*

*კახა ცხადაძე და არჩილ არველაძე ეროვნულ გუნდში პირველივე შესარჩევიდან თამაშობენ. ბოლო, მე-5 ციკლი აჩიკოს არ უთამაშია, კახა კი მე-4-ის შემდეგ აღარ გამოჩენილა ნაკრებში. ტყუპისცალი საფეხბურთო კარიერას ან გააგრძელებს ან არა, ხოლო ცხადაძე მახაჩყალის „ანჟიში" დამდეგ სეზონშიც ითამაშებს.*

*გუშინ კახაც და აჩიკოც რედაქციაში ვისტუმრეთ, უკან მოტოვებული სანაკრებო ამბებზე ვისაუბრეთ — თუ წარსული თავის ტვირთიანად არ გწამს, მომავალს ვერ შექმნი — უთქვამს ერთ გონიერს...*

**— ნაკრების პირველი ციკლიდან დავიწყოთ — მაშინ ნაკრებში საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში ნათამაშები რამდენიმე ფეხბურთელი გამოდიოდა, კიდევ ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა...**

*ცხადაძე:* საბჭოთა სკოლაგამოვლილებიდან ნაკრებში სისტემატურად მხოლოდ მე და თემურ ქეცბაია ვთამაშობდით. ნაკრების წარუმატებლობის მიზეზი ფეხბურთელების და გუნდის ხელმძღვანელობის გამოუცდელობა იყო. არასათანადო დონეზე იყო საორგანიზაციო მხარეც, თუნდაც კვების პრობლემა — ხალხს ჰგონია, რომ ასეთი ელემენტები მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ასე არ არის. სწორედ ამ ნიუანსების მოუგვარებლობის გამო ხდებოდა, რომ ერთ თამაშს კარგად ვთამაშობდით, მეორეს კი ვერა.

*არველაძე:* ძირითადად ფეხბურთელების ინდივიდუალური თამაშის წყალობით გვინდოდა ფონს გასვლა. სხვა ხელშემწყობი ფაქტორები კი ჩვენთვის არ არსებობდა.

**— საქართველოს ნაკრებს რამდენიმე კარგი თამაში მოუგია, თუნდაც პირველ ციკლში შინ ბულგარეთთან 2:1. თუმც ზოგს მიაჩნია, რომ გუნდმა ასეთი გამარჯვებები მაშინ მოიპოვა, როცა ეს თამაშები აღარაფერს წყვეტდა ფინალურ ეტაპზე გასვლის მხრივ...**

*ცხადაძე:* ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ საფრანგეთი 98-ის შესარჩევის საშინაო მატჩში იტალიასთან ტრავმა მოვიმიზეზე, რათა კახა კალაძე შესულიყო და კიევის „დინამოში" გაეყიდათ. თუ თამაშს მოიგებ, ნაყიდია, თუ წააგებ, გაყიდულია — საქართველოში ბევრი ასე აზროვნებს. მაშინ კი ჩვენ ისეთ ბულგარეთს მოვუგეთ, სადაც ბევრი სახელიანი ფეხბურთელი თამაშობდა. თუნდაც ხრისტო სტოიჩკოვი ავიღოთ. ის ისეთი ფეხბურთელი იყო, რომ თამაშის დროს ზაზა რევიშვილისთვის სულ შეურაცხყოფას ცდილობდა და ასეთი სტოიჩკოვი ჩვენ თამაშს დაგვითმობდა?! კრიტიკას არ გავურბივარ, მაგრამ ყველას ვთხოვ, იმასაც ნუ დაგვიკარგავთ, რაც გავაკეთეთ.

*არველაძე:* ცუდია, რომ საქართველოში ბევრ რამეს არ აფასებენ. ისიც ვიკითხოთ, საქართველოში რომელი სფერო ჯობია ფეხბურთს? ქართველმა ფეხბურთელმა კი ითამაშა „აინტრახტში", „ნიუკასლში", „მილანში", „აიაქსში", „მანჩესტერ სიტიში", „კიოლნში", „რეინჯერსში"... ეს ყველაფერი რომ შეკრიბო, გამოდის, რომ უცხოეთში მილიონობით ადამიანმა გაიგო საქართველოს შესახებ.

**— პირველი და მეორე ციკლების დროს გავრცელებული იყო აზრი, რომ ალექსანდრე ჩივაძე ნაკრებს დაცვით ფეხბურთს ათამაშებდა — მწვრთნელს ხშირად ერთი ფორვარდი გამოჰყავდა.**

*არველაძე:* ასეთ მოსაზრებას არ ვეთანხმები. უბრალოდ, მაშინ იმდენი შემტევი ფეხბურთელი გვყავდა, რომ მწვრთნელი ყველას ვერ დააყენებდა ძირითადში. ჩივაძე სულ ცდილობდა, გოჩა ჯამარაულსა და გიორგი ქინქლაძეს ერთად ეთამაშათ და კიდევ ფორვარდებიც გამოეყვანა.

**— ყველაზე მსუყე მატჩი იმ ციკლში გერმანიის ნაკრებთან გვქონდა — „ეროვნულზე" ასი ათასი კაცი მოვიდა. ნუთუ იოტისხელა შანსიც არ გვქონდა იმ მატჩში?**

*ცხადაძე:* გერმანიის ნაკრებში მაშინ ბევრი ვარსკვლავი თამაშობდა, გუნდიც კარგ ფორმაში გახლდათ და ასეთ მეტოქესთან ძალიან ძნელი იყო თამაში, თუმც სამარცხვინოდ ნამდვილად არ გვითამაშია. პირველ ტაიმში შოთას რომ გაეტანა, ვინ იცის, რა მოხდებოდა, მაგრამ იმ დროისთვის გერმანიასთან ჩვენ, უბრალოდ, შანსი არ გვქონდა.

*არველაძე:* მაშინ იმდენად დიდი იყო განსხვავება ყველაფერში ჩვენსა და გერმანიას შორის, რომ მართლაც არანაირი შანსი არ გვქონდა.

**— რაც შეეხება იმდროინდელი ნაკრების საორგანიზაციო მხარეს — ამაზე რას იტყოდით?**

*არველაძე:* არანაირი ფინანსური დაინტერესება მაშინ ფაქტობრივად არ გვქონია, ჩვენ გულით ვთამაშობდით. მაქსიმალური პრემია მოგებული თამაშისთვის, რაც მაშინ ავიღეთ, თუ არ ვცდები, 2000 დოლარი იყო.

*ცხადაძე:* იმ დროს არანაირი ელემენტარული პირობა არ გვქონია. ფეხბურთელებს ერთნაირი სავარჯიშო ფორმაც არ გაგვაჩნდა. ერთ-ერთი თამაშის შემდეგ ნაკრების მაისურა ერთ ინვალიდ ადამიანს ვაჩუქე, რომელსაც ქუჩაში დაეწივნენ და უკან დააბრუნებინეს ის.

**— მომდევნო ციკლი ისე დავიწყეთ, რომ გასვლაზე იტალიასთან 0:1 წავაგეთ, მერე კი ინგლისს ვუმასპინძლეთ და 0:2 დავმარცხდით. მაშინ ხალხმა ბოთლები გადმოყარა არენაზე — გულისწყრომა მხოლოდ მწვრთნელის მიმართ არ იყო, ფეხბურთელებზეც თქვეს, არ იბრძვიანო...**

*ცხადაძე:* ინგლისელებმა გოლები უცბად გაგვიტანეს, რაც ჩემს და მურთაზ შელიას უხეშ შეცდომებს მოჰყვა — ჩვენი დუეტი მაშინ აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა და ასეთი შეცდომები არ გვეკადრებოდა. ყველაფერმა ამან ფსიქოლოგიურად იმოქმედა ფეხბურთელებზე. მეორე ტაიმის წინ მინდორზე გასვლამდე შევყოვნდით და იმაზე ვლაპარაკობდით, თუ რა შანსი გვქონდა. ჰოდა, მაშინ კიდევ უფრო კარგად მივხვდი, რომ ჩემზე და შელიაზე ბევრი რამ ყოფილა დამოკიდებული. ინგლისთან ეს მატჩი ერთადერთ ხინჯად მრჩება ჩემს სანაკრებო კარიერაში.

*არველაძე:* არ იბრძვიანო, ჩვენზე ისეთი ხალხიც ამბობს, რომლებიც ხშირად ფსონს საქართველოს წაგებაზე დებენ. ამასწინანდელ საქართველო — რუსეთის მატჩის წინ ტოტალიზატორში შევედი და უმეტესობა ჩვენს წაგებაზე დებდა ფულს, მე კი საქართველოზე დავდექი და გვარიანი თანხაც მოვიგე.

**— ინგლისთან თამაშის მერე გუნდიდან ალექსანდრე ჩივაძე წავიდა და დავით ყიფიანი მოვიდა, რომლის თანაშემწე რევაზ ძოძუაშვილი იყო. რა მოიტანა ამ ცვლილებამ ნაკრებში?**

*არველაძე:* ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი ყიფიანის და ძოძუაშვილის ხელში ვიყავით გამოვლილი, თანაც ყიფიანი და ძოძუაშვილი, როგორც მწვრთნელები, ერთმანეთს ავსებდნენ, მათ ხელში გუნდი უფრო ჩამოყალიბდა და რამდენიმე კარგი მატჩიც ჩაატარა. ძლიერ გუნდებთან ჩვენს შანსებს უკვე 60-40 აფასებდნენ მეტოქის სასარგებლოდ, ეს ცოტა აღარ იყო.

*ცხადაძე:* ჩემი აზრით, თუ ყველაფერს რეალურად შევაფასებთ, საქართველოს ნაკრების ყველაზე კარგი მწვრთნელი ყიფიანი იყო. მაშინ ჩვენი ნაკრების მთავარი პრობლემა ის იყო, რომ გუნდში ბევრი გამოუცდელი მოთამაშე გვყავდა. დაცვაში მე და შელიას კახა კალაძე რომ გვყოლოდა, სულ სხვა სურათი იქნებოდა. გვქონდა ჩავარდნა პოლონეთთან კატოვიცეში, მაგრამ ციკლის ბოლოს ნაკრები უკვე მზად იყო, ნებისმიერი რანგის მეტოქესთან ტოლ-სწორად ეთამაშა. მაგრამ ფედერაციამ ჩემთან და ყიფიანთან პირადი წყენის გამო ასეთი გუნდი დაშალა. როგორც მე ვიცი, ყიფიანს პირობაც წაუყენეს — გუნდიდან კონკრეტული ფეხბურთელები გაუშვიო.

**— მაშინ ისიც ითქვა, ერთ-ერთ თამაშზე ფედერაციამ შეპირებული პრემია სრულად არ გადაუხადა ნაკრებსო.**

*არველაძე:* შეპირებულის ფაქტობრივად ნახევარი მოგვცეს, მაგრამ ის ფული არ აგვიღია — საქველმოქმედოდ გამოვიყენეთ.

**— ყიფიანის შემდეგ ნაკრების დამრიგებლად ვლადიმერ გუცაევი მოვიდა — რამ გამოიწვია ურთიერთობის დაძაბვა გუცაევსა და ფეხბურთელებს შორის?**

*არველაძე:* ყიფიანის მოხსნის წინა დღეს მეგობრებისგან შევიტყვე, რომ მომდევნო შესარჩევი ციკლის წილისყრაზე ფედერაციის უფროსობასთან ერთად გუცაევი მიდიოდა, ანუ ყიფიანის მოხსნა უკვე გადაწყვეტილი იყო. ფეხბურთელებს გუცაევის საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა, მაგრამ აწყობილ გუნდში მწვრთნელის შეცვლა გაუმართლებელი იყო.

*ცხადაძე:* ფედერაცია სულ ფულზე ტიროდა, მე კი პირდაპირ ვთქვი, ტელეტრანსლაციებიდან მილიონები უნდა შემოდიოდეს და ეს თანხა სად არის-მეთქი. ნაკრებისთვის გერმანიიდან სახვევები და მალამოებიც კი ჩამომქონდა. კარდიფში კი მშიერ ფეხბურთელებს სასტუმროს ჰოლში ღორებივით დაგვიყარეს ჩიპსები მაგიდაზე და ძალიან აღვშფოთდი. ყველაფერ ამის გამო ფედერაციამ ჩემი გუნდიდან გაშვება გადაწყვიტა, გუცაევი კი ფედერაციის ხელში უბრალოდ იარაღი იყო.

**— გუცაევი ამბობდა, ნაკრების ფეხბურთელებს პატრიოტიზმი აკლიათო და მის შეხედულებებს ძალიან ბევრი უჭერდა მხარს...**

*არველაძე:* გუცაევმა მითხრა, შენი ფეხბურთისადმი მიდგომა არ მომწონსო. არადა, მაშინ ოთხი ოპერაცია მქონდა გაკეთებული, მაგრამ მაინც სრული დატვირთვით ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი უხელფასოდ. გუცაევს ნაკრებიდან ძველების გაშვება უნდოდა, რათა ძალაუფლება ხელში აეღო.

*ცხადაძე:* ვინც ჩვენ არაპატრიოტიზმში გვადანაშაულებს, ძალიან ვთხოვ, ენას კბილი დააჭიროს. მე რომ რუსეთის ნაკრებში თამაშზე დავთანხმებულიყავი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მომიწევდა თამაში.

**— რატომ არ ლაპარაკობდით პრესასთან ყველაფერ ამას როცა აქეთ გიტევდნენ?**

*არველაძე:* პრესასთან ამაზე ლაპარაკისგან თავს ვიკავებდით, რადგან ეს ერთი სამყაროს, ერთი ოჯახის პრობლემა იყო.

*ცხადაძე:* მათ კი ყველაფერი პრესის ფურცლებზე გადაიტანეს და ამიტომაც წავიმტვრიეთ კისერი ყველამ ერთად.

**— ამის შემდეგ იყო იოჰან ბოსკამპის ხანმოკლე ეპოქა...**

*არველაძე:* თუ უკეთესი უცხოელი მწვრთნელი არ მოგვყავდა, ბოსკამპი ასე მალე არ უნდა გაგვეშვა.

**— ბოსკამპის შემდეგ გუნდი ისევ ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ჩაიბარეს ევრო 2002-ის შესარჩევი ციკლისთვის. თუმც მწვრთნელებს და ფეხბურთელებს შორის ურთიერთობა კვლავ გამწვავდა. კიდევ, ნაკრებში კვლავ გამოჩნდნენ ისეთი ფეხბურთელები, რომელთა სანაკრებო დონე ძალიან დიდ ეჭვს იწვევდა...**

*ცხადაძე:* შედეგი ამ ციკლში იყო ნული და ანალიზი გულშემატკივარმა გააკეთოს. გუნდში ისეთი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატშიც კი არ იყვნენ ლიდერები. მოკლედ, გუნდი ახლიდან იყო ასაწყობი. მაგრამ ცუდი სელექცია წავიდა.

*არველაძე:* გუნდში უკვე არეულობა იყო, რასაც პირადული ინტრიგებიც დაემატა.

**— გაისად ახალ ციკლი დაიწყება და ნაკრებს ალბათ ცნობილი უცხოელი მწვრთნელიც ეღირსება — რას უნდა ველოდოთ დამდეგ შესარჩევში?**

*ცხადაძე:* დამდეგ ციკლში საქართველოს ნაკრები ჯერაც ჩამოყალიბების სტადიაში იქნება — ფეხბურთელთა ამ თაობას წარმატებულ გუნდად ჩამოსაყალიბებლად დრო სჭირდება.

*არველაძე:* ახლანდელ ნაკრებში ისეთი სიტუაციაა, ღმერთმა ნუ ქნას და, თუ გუნდს ერთი ან ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდა, გუნდი ძალიან მოირყევა. ამით იმის თქმა მსურს, რომ ამ ნაკრებს ერთი-ორი ლიდერ-ფეხბურთელი ჰყავს.

**დავით თავართქილაძე**





# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## E ჯგუფი

## ფერგიუსონს ფორლანის სიხშირე უხარია



„პანათინაიკოსი" — „მანჩესტერი". დიეგო ფორლანმა ალექს ფერგიუსონს იმედი გაუმართლა

**პანათინაიკოსი 0:1 მანჩესტერი**

**0:1 ფორლანი (85)**

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, გუმასი, მიუნხი, მარიჩი, ბასინასი, ფუტაუტასი, სანმარტიანი (ეპალე 46), დ. პაპადოპულოსი (საპანისი 82), კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 68)

**მწვრთნელი:** იცხაკ შუმი

**მანჩესტერი:** ჰოვარდი, ფერდინანდი, ოში, სილვესტრი, ფორჩუნი, კ. რონალდო, ბათი, გიგზი, ფლეტჩერი (ბელიონი 68), კლებერსონი, ფორლანი

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**გაფრთხილება:** მიუნხი, ფერდინანდი, გუმასი

**მსაჯი:** იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

**6 890 მაყურებელი**

სერ ალექს ფერგიუსონმა „პანათინაიკოსს" შანსი უბოძა, მაგრამ ბერძნებმა ვერ გამოიყენეს. შოტლანდიელმა მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა, რითაც „მანჩესტერ იუნაიტედის" სიძლიერემ ოდნავ იკლო. როი კინს, ძმებ ნევილებს და მთავარმეკოლე რუუდ ვან ნისტელროის ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ.

მასპინძლებს მერვედფინალში გასვლაზე პრეტენზია აღარ ჰქონდათ, მაგრამ მესამე ადგილს და უეფას თასზე გადანაცვლებას კი ეპოტინებოდნენ. საამისოდ ათენელებს გამარჯვება თუ არა, ფრე მაინც სჭირდებოდათ, თუმცა საბოლოოდ ხელმოცარულნი დარჩნენ.

„პანათინაიკოსის" თამაშს სულ არ ეტყობოდა, რომ გუნდი სამი ქულისთვის იბრძოდა. სტუმრებიც თავს არ იწუხებდნენ შეტევებისთვის.

თითქმის ნახევარი საათი ისე გაილია, მეტოქეების კარში არც დაურტყამთ. პირველი სახიფათო მომენტი მანჩესტერელებმა შექმნეს. პორტუგალიელმა ყმაწვილმა რონალდომ მეურვეს თავის შესაძლებლობები აჩვენა. მარჯვენა ფლანგზე ჩაუქროლა, ბურთი კარის წინ კლებერსონს გაუგზავნა, მაგრამ ბრაზილიელი ისე მონდომებით გარბოდა, რომ ბურთს ასცდა და თანაგუნდელს ჯაფა ვერ დაუფასა.

პირველი ტაიმის მიწურულს საქმე ნიკოპოლიდსსაც გაუჩნდა. რაიან გიგზმა დიეგო ფორლანი ხელსაყრელ პოზიციაში ბურთიანად დატოვა, ურუგვაელს კი სუსტად დარტყმა გამოუვიდა და მასპინძელთა მეკარემ იოლად მოიგერია.

შესვენების შემდეგ „პანათინაიკოსი" ოდნავ გამოცოცხლდა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ათიოდ წუთში ჟოელ ეპალეს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მას ტიმ ჰოვარდმა არ დაანება.

მოგვიანებით გიგზმა თავის ფლანგზე სამ მცველს ჩაურბინა და ბურთი ფორლანს დაუგორა. ფორვარდმა ძლიერად დაჰკრა, თუმცა სიზუსტე დააკლდა. ამის შემდეგ ურუგვაელმა კიდევ ერთი კარგი მომენტი დალუპა, მაგრამ ნიკოპოლიდისი მაინც მისი „ლუკმა" გახდა. ფორლანის დარტყმულ ბურთს ბერძენი მეკარე ვერ შესწვდა და მასპინძელთა კარში აღმოჩნდა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" მერვედფინალი წინა ტურშივე გაინაღდა, ალექს ფერგიუსონმა კი ნამატჩევს თქვა, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება ჩვენთვის მნიშვნელოვანია და „შტუტგარტთან" მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ. „ძალიან მიხარია, რომ ფორლანი სულ უფრო ხშირად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში და გოლებიც გააქვს" — დასძინა სტუმართა მწვრთნელმა.

**შტუტგარტი 1:0 რეინჯერსი**

**1:0 ვენცელი (45)**

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, სოლდო, მაისნერი, ჰელდტი (ტიფერტი 49), გლები (სენტურიონი 73), კურანი, საბიჩი (ბრანკო 89)

**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი

**რეინჯერსი:** კლოსი, რიკსენი, ბერგი, ხიზანიშვილი, ბოლი, როსი (ოსტენსტადი 70), ვანოლი (მოლსი 55), ს. ჰიუზი, ნუნუ კაპუშუ, არველაძე, ლოვენკრანდსი (ბარკი 80)

**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში

**გაფრთხილება:** ჰიუზი, მაისნერი, ლოვენკრანდსი

**მსაჯი:** მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**50 348 მაყურებელი**

მერვედფინალის გასანაღდებლად „შტუტგარტს" ფრეც ხელს აძლევდა, „რეინჯერსს" კი მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი შეენარჩუნებინა. გლაზგოელებმა ფელიქს მაგათის შეგირდებს სექტემბერში სძლიეს, მაგრამ მას შემდეგ ალექს მაკლიშს ტრავმირებული ფეხბურთელები მოუმრავლდნენ და გუნდი საგრძნობლად დასუსტდა. „ჩაფრებს" ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი აკლდათ და ასეთ ვითარებაში გერმანიაში გამარჯვება, თან კარგად გამართულ „შტუტგარტთან", საეჭვო იყო.

პირველი ტაიმის შუაწელში არველაძემ მკერდით ბურთი დაუგდო რიკსენს, რომლის დარტყმულიც ჰილდებრანდმა სასწაულებრივ მოიგერია. წუთის შემდეგ „რეინჯერსის" საჯარიმოს კუთხესთან კურანი უყურადღებოდ მიატოვეს, მაგრამ ფორვარდმა არაზუსტად დაჰკრა.

გუნდები მანუელ გონსალესის სასტვენს და შესვენებას ელოდნენ, სტუმართა კარში გოლი რომ გავიდა. „რეინჯერსის" მცველები საკუთარ საჯარიმოში დაიბნენ, რითაც ტიმო ვენცელმა ისარგებლა და შტეფან კლოსს მოხდენილი დარტყმით გაუტანა.

მეორე ნახევრის დასაწყისში ფელიქს მაგათიმ ძვირფასი სამი ქულის შენარჩუნება გადაწყვიტა. გამთამაშებელი ჰელდტი ტიფერტით შეცვალა და გუნდს გრძელი პასებით თამაში დაავალა. თავის მხრივ, მაკლიშმა პაოლო ვანოლის მოლსი ჩაუნაცვლა და შეტევის გაძლიერება სცადა. ორმხრივ ცვლილებებს მატჩის ხასიათზე გავლენა არ მოუხდენია. მასპინძლები თავს ჭკვიანურად იცავდნენ, სტუმრები კი უკბილოდ უტევდნენ. „რეინჯერსის" მწვრთნელმა მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მოედანზე მეოთხე ფორვარდიც შეუშვა, მაგრამ ამაოდ. „შტუტგარტმა" მეოთხე მოგება მიითვალა და კვლავ ჯგუფის ლიდერად დარჩა.

„რეინჯერსი" ბოლო ტურში „პანათინაიკოსს" მასპინძლობს და იმედია. ჩემპიონთა ლიგას გამოკლებული გუნდი ქართველებითურთ უეფას თასზე გადაინაცვლებს.

**პაატა ძმანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:2 | 12 |
| რეინჯერსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| პანათინაიკოსი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |

*„შტუტგარტი" და „მანჩესტერი" გავიდნენ მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 9 დეკემბერი**

**რეინჯერსი — პანათინაიკოსი**

**მანჩესტერი — შტუტგარტი**

## F ჯგუფი

## ნასვლამდე ერთიც მოიგეს
## მიდოს გულში გოლი იდო

**მარსელი 1:2 რეალი**

**0:1 ბექემი (35), 1:1 მიდო (63), 1:2 რონალდო (73)**

**მარსელი:** რუნიე, მეიტე, ვან ბუიტენი, კრისტენვალი, ეკერი, მერიემი, ჰემდანი, სელესტინი, ვახოუშეკი (სიჩოვი 71), დროგბა, მიდო (ფერნანდაო 80)

**მწვრთნელი:** ალენ პერენი

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, ელგერა, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი (სოლარი 80), ფიგუ, ბექემი, კამბიასო, ზიდანი (გუტი 85), რაული, ლ. რონალდო (რუბენი 90)

**მწვრთნელი:** კარლუშ კეიროში

**გაფრთხილება:** ვახოუშეკი, რაული, ბექემი

**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)

**59 000 მაყურებელი**

**პორტუ 2:1 პარტიზანი**

**1:0, 2:0 მაკკარტი (25, 50), 2:1 დელიბაშიჩი (90)**

**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, მარიუ სილვა, მანიშე, კოშტინია, დეკო სოუზა, ბოსინგვა (პ. მენდეში 46), მაკკარტი (უგო ალმეიდა 67), დერლეი სილვა (იანკაუსკასი 80)

**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**პარტიზანი:** პანტიჩი, ჩირკოვიჩი (რადოვიჩი 38), სავიჩი, ნ. ჯორჯევიჩი, მალბასა, დულიაი, სტოიანოსკი (დრულოვიჩი 78), ილიჩი (ჩაკარი 58), ივიჩი, დელიბაშიჩი, ილიევი

**მწვრთნელი:** ლოთარ მათეუსი

**გაფრთხილება:** მანიშე, ჟორჟე კოშტა

**მსაჯი:** პოლ ალერტი (ბელგია)

**23 000 მაყურებელი**

„პორტუს" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ კმაყოფილი უპირველესად იმით გახლდათ, რომ მისმა გუნდმა „პარტიზანს" იოლად მოუგო



მიდომ ოცნება აისრულა, „რეალს" გაუტანა

(2:1) და მერვედფინალში გავიდა. „დას ანტასზე" ორი გოლი ბენი მაკარტიმ შეაგდო. ახლა პორტუგალიელებს მადრიდშიღა დარჩათ სათამაშო, მაგრამ ამ თამაშს აზრი აღარ აქვს, რადგან „რეალს" და „პორტუს" ჯგუფურ ეტაპზე აღარაფერი სჭირდებათ.

მაურინიუ: „ჩვენ ძალიან მოხერხებულად გავიმარჯვეთ, ზედმეტი სირთულეებისა და ნერვიულობის გარეშე. მშვიდი თამაში იყო. ვიმეორებ, მიზანს, ფაქტობრივად, უპრობლემოდ მივიღწიეთ".

თუმცა, მაინც არის ერთი თეორიული შანსი, რომლის მიხედვითაც, თუ „პორტუ" „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალს" დიდი ანგარიშით მოუგებს, პირველ ადგილზე გავა.

„მადრიდში დიდი ანგარიშით გამარჯვებაზე ფიქრი რეალისტური არავისთვისაა — განმარტა მაურინიუმ — სანამ მარსელში „რეალის" ანგარიში 1:1 იყო, რამეზე ფიქრი ჯერ კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ რონალდოს გამარჯვების გოლმა ყველა კითხვაზე პასუხი გასცა."

საგულისხმოა, რომ „პორტუსთვის" ეს გახლდათ ბოლო თამაში მშობლიურ „დას ანტასზე", რადგან ამიერიდან გუნდი სხვა სარბიელზე გადაინაცვლებს.

„ძალიან მნიშვნელოვანი იყო გამარჯვება იმ სარბიელზე, რომელმაც ამდენი დაუვიწყარი დღე გვაჩუქა" — ბრძანა „პორტუს" პრეზიდენტმა პინტუ და კოშტამ.

„პარტიზანის" მწვრთნელი, გერმანელი ლოთარ მათეუსი კი პირიქით, ძალიან უკმაყოფილო გახლდათ. ახლა, ბოლო ტურში, ბელგრადელებს უეფას თასზე მოსახვედრად, ანუ ჯგუფში მესამე ადგილზე გასასვლელად აუცილებელი გამარჯვება სჭირდებათ.

„მრცხვენია რამდენიმე ფეხბურთელის მაგივრად. ამას ვერ შევეგუები. ისინი ბევრს ლაპარაკობდნენ და ცოტას თამაშობდნენ. ჩვენი შესაძლებლობების 50 პროცენტი გამოვავლინეთ და, ბუნებრივია, „პორტუ" იოლად მოგვიგებდა" — თქვა მათეუსმა.

„რეალმა" კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მარსელში გაიმარჯვა.

„ჩვენი გავარდნის მიზეზი ის გახლავთ, რომ „პორტუსთან" წავაგეთ ორ შეხვედრაში. პორტუგალიელებთანაც ისე რომ გვეთამაშა, როგორც დღეს, „რეალთან" ვითამაშეთ, ნამდვილად მოვხვდებოდით მერვედფინალში"— განაცხადა „მარსელის" თავკაცმა ალენ პერენმა.

მართლაც, მასპინძლები გვარიანი მონაკვეთების განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. პირველ ნახევარში მათი კარი ბექემის საფირმო ჯარიმით დაეცა, მეორეში კი რონალდომ თქვა თავისი სიტყვა. მასპინძელთაგან 63-ე წუთზე მიდომ გაათანაბრა.

„მადრიდელების კარში გოლის გატანა ჩემი ოცნება იყო. ძალიან ვწუხვარ, რომ მაინც წავაგეთ, მაგრამ თავად გოლმა ჩინებულ განწყობაზე დამაყენა" — განაცხადა მიდომ.

„რეალის" მწვრთნელი კარლუშ კეიროში: „კარგ შედეგს მივაღწიეთ, რადგან ამ გამარჯვებით ბოლო ტურში ლაღად სუნთქვის საშუალება მოგვეცა. ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ ცხრილში პირველი ადგილი უნდა მოგვეპოვებინა და ამიტომ საგანგებოდ დისციპლინირებულნი იყვნენ".

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| პორტუ | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 10 |
| მარსელი | 5 | 1 | 0 | 4 | 8:10 | 3 |
| პარტიზანი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | 2 |

*„რეალი" და „პორტუ" გავიდნენ მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 9 დეკემბერი**

**რეალი — პორტუ**

**პარტიზანი — მარსელი**



რონალდოს (მარჯვნივ) გოლმა „მარსელი" ჯგუფში ჩატოვა

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. V ტური

G ჯგუფი

## ძაგოს მაძაგებლები

**ლაციო 1:1 ბეშიქთაში**

**0:1 პანჩუ (45პ), 1:1 მუცი (56)**
**ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, ნეგრო, ფავალი (ძაური 54), ს. კონსეისაუ (ფიორე 46), ალბერტინი, ჟანიკედა (მუცი 46), სტანკოვიჩი, კორადი, ს. ინძაგი**
**მწვრთნელი: რობერტო მანჩინი**
**ბეშიქთაში: ო. კორდობა, ემრე აშიქი, გიარო, ძაგო, ოკან კოჩი, ტაიფური, ჟუნტი (აჰმეთ ილდირიმი 89), იბრაჰიმი, პანჩუ, სერგენი (ტუმერი 79), ილჰან მანსიზი**
**მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ**
**გაფრთხილება: ემრე აშიქი, მუცი, ჟუნტი, კორადი**
**მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)**
**49 000 მაყურებელი**


„ლაციო" — „ბეშიქთაში". რუმინელ პანჩუს პენალტის გატანა არ გასჭირვებია
REUTERS რომიდან

მატჩამდე სტადიონთან „ლაციოსა" და „ბეშიქთაშის" ფანები დაერივნენ ერთმანეთს. თურქები, ცხადია, მასპინძლებზე ნაკლებნი იყვნენ. ჩხუბში სამი ოსმალო დაშავდა, მათ შორის ერთი რომში „ბეშიქთაშის" საქომაგოდ საფრანგეთიდან ჩასული იყო და სწორედ იგი, მძიმედ დაჭრილი, საავადმყოფოში გააქანეს.

· მირჩა ლუჩესკუმ „ჩელსისთან" ნაცადი ტაქტიკა გამოიყენა. მისი გუნდი დაცვაში ჩაჯდა, სერგენ-ილჰანის წყვილი კი მეტოქის შეწუხებას სწრაფი კონტრშეტევებით ცდილობდა.

მასპინძლები თავიდანვე მიაწყდნენ „ბეშიქთაშის" საჯარიმოს და მეცხრე წუთზე სიმონე ინძაგიმ პირველი კარგი მომენტი გაანიავა. აქედან დაიწყო მისი უიღბლობა, პირველი ტაიმის შუაწელში კი ინძაგი კორდობასთან პირისპირ გავიდა და ბურთის დამორჩილება ვერ მოახერხა.

ასპროცენტიანი მომენტის გამოუყენებლობისთვის ლაციოელები შესვენებამდე წუთით ადრე დაისაჯნენ. სერგენ იალჩინი საჯარიმოში შეიჭრა და იაპ სტამმა იგი საპენალტედ დასცა. მარკუს მერკმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე მიუთითა, დარტყმა კი რუმინელმა პანჩუმ ძლიერად და ზუსტად შეასრულა.

„ბეშიქთაშის" მაისურით „სტადო ოლიმპიკოზე" ბრაზილიელი ძაგოც თამაშობდა, რომელიც სტამბოლურ გუნდში „რომადან" გადავიდა. „ლაციოს" გულშემატკივრები ძაგოს ბურთის მიღებისას უსტვენდნენ. ქოქოლა ფედერიკო ჯუნტისაც არ დააკლეს, რომელმაც პირველმა მიულოცა პანჩუს.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა გაქვითვა შეძლეს. აბდაუბდად მოხტუნავე ბურთი საჯარიმოში რობერტო მუცისთან დაეშვა. ვეტერანმა სიყმაწვილე გაიხსენა და მაკრატელათი ბრწყინვალე გოლი შეაგდო.

გალაღებულმა „ლაციომ" მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერა. ალბერტინის, მუცისა და სტანკოვიჩს გატანის რეალური შესაძლებლობები ჰქონდათ. თავის მხრივ, სერგენ იალჩინმა ილჰან მანსიზს „მიდი, გაიტანე" პასი გაუჩარხა, მაგრამ ილჰანმა მირზა ლუჩესკუს თავში ხელები შემოარტყმევინა.

„ბეშიქთაშის" პრეზიდენტი თითოეულ ფეხბურთელს გამარჯვებისთვის 25 ათას დოლარს შეჰპირდა, ფრეზე კი ბიჭები განახევრებულ პრემიებს მიიღებენ.

**ჩელსი 0:0 სპარტა**

**ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯ. კოული (ჯერემი 73), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, კრესპო (გუდიონსენი 73), მუტუ**
**მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი**
**სპარტა: ბლაჟეკი, ლაბანტი, პერგლი, ჰუბშმანი, ჰომოლა, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა (ფლახბარტი 87), სიონკო (იეჟეკი 90), კრმაში, მიხალიკი (გლუშკევიჩი 73)**
**მწვრთნელი: ირჟი კოტრბა**
**მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)**
**40 152 მაყურებელი**

„ჩელსიმ" „სპარტას" ვერ მოუგო, მაგრამ „არისტოკრატებისთვის" ქულაც საკმარისი აღმოჩნდა მერვედფინალში გასასვლელად. ჯგუფიდან გაღწევის შანსი ლონდონელთა გარდა სამივე გუნდს დარჩა და მეორე მერვედფინალისტი ბოლო ტურში გაირკვა.

„ჩელსი" მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა პრაღელებს, მაგრამ სტუმართა დაცვამ გამართულად ითამაშა და „სტემფორდ ბრიჯიდან" ქულა წაიღო. მასპინძლებმა პირველ ტაიმში გაიტანეს, თუმც მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა და კრესპოს გოლი გააუქმა.

თითო მომენტი ლამპარდს და ჯო კოულს ჰქონდათ, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მატჩში პირველად გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში. ლამპარდის დარტყმული არაზუსტი გამოდგა, კოულს კი ბლაჟეკმა აუღო.

თავის მხრივ, ლიბორ სიონკომ ორჯერ შორიდან სცადა გატანა, მაგრამ ორჯერვე ააცილა ჩარჩოს.

შესვენების შემდეგ მასპინძლები ამაოდ ცდილობდნენ პრაღელთა ათკაციანი დაცვის გარღვევას. კრესპოს შეეძლო დაფისა და მუტუს დაწყებული კომბინაცია გოლით დაესრულებინა, თუმც არგენტინელი შეეცადა, ორიგინალურად, ქუსლით გაეტანა და ამასობაში გადაამლაშა.

მოგვიანებით კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კლოდ მაკელელეს ერგო. ფრანგმა დაჰკრა და ჯვარედინს მოარტყა.

შეხვედრის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე უილიამ გალასის დარტყმულმა ბურთმაც მოსინჯა ძელი, მატჩის მიწურულს კი ადრიან მუტუს ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა.

„ცხადია, მოსაგებად ვთამაშობდით, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ „სპარტა" დაცვაში შესანიშნავად გაისარჯა და სივრცე მაქსიმალურად შეგვიზღუდა" — თქვა კლაუდიო რანიერიმ, რომელმაც ჯგუფში პირველი ადგილის შესანარჩუნებლად სტამბოლში „ბეშიქთაშთან" არ უნდა წააგოს.


რობერტო მუცი
REUTERS რომიდან

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ბეშიქთაში | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| სპარტა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ლაციო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |

*„ჩელსი" გავიდა მერვედფინალში*

**ბოლო ტური, 9 დეკემბერი**
**სპარტა — ლაციო**
**ბეშიქთაში — ჩელსი**

H ჯგუფი

## შევჩენტო
### ადგილებს მილანი გაანაწილებს

**აიაქსი 0:1 მილანი**

**0:1 შევჩენკო (51)**
**აიაქსი: ლობონტი, ნ. დე იონგი, ესკუდე, იაკუბუ, მაქსველი, ჰეიტინგა, გალაშეკი, ობოდაი (ვამბერტო 55), სნეიდერი, მიტია (სიკორა 76), იბრაჰიმოვიჩი (ლიტმანენი 40)**
**მწვრთნელი: რონალდ კუმანი**
**მილანი: დიდა, კაფუ, ლაურსენი (პანკარო 46), მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა 76), შევჩენკო, ფ. ინძაგი (ამბროზინი 70)**
**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**
**გაფრთხილება: ინძაგი, იაკუბუ, გალაშეკი**
**მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)**
**50 210 მაყურებელი**

**სელტა 1:1 ბრიუგე**

**1:0 მოსტოვოი (74), 1:1 ლანგე (90)**
**სელტა: კავალიერო (პინტუ 62), ანხელი, ბერიზო, სერხიო, სილვინიო (გუსტავო ლოპესი 46), ხესული, ლუქსენი, ხოსე იგნასიო, ხუანფრანი, მოსტოვოი (ხანდრო 78), მილოშევიჩი**
**მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა**
**ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, როზენალი, გვოზდენოვიჩი (ლანგე 81), ენგლებერტი, კლემანი, ჩეპი (როელანდტსი 85), ს. მარტენსი, ვერჰეინი, შატერნსი**
**მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი**
**გაფრთხილება: ვერლინდენი, სილვინიო, ენგლებერტი, შატერნსი, პინტუ**
| 24.00 | 5353 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | | |
| 16.30 | 5516 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5517 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5518 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5519 | ბოლტონი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5520 | ჩარლტონი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5521 | პორტსმუთი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5522 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5523 | ბაიერნი-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5524 | ჰამბურგი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5525 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5526 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5527 | გლადბახი-ლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5528 | ბოხუმი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5529 | სიენა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5530 | იუვენტუსი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5531 | მურსია-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5532 | ოსასუნა-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5533 | ატლეტიკო-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5534 | ვალენსია-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **30 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 5535 | არსენალი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5536 | ლივერპული-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5537 | სიტი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 5538 | ჩელსი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5539 | ჰერტა-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5540 | ჰანზა-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5541 | მილანი-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5542 | პარმა-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5543 | პერუჯა-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5544 | რეჯინა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5545 | რომა-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5546 | სამპდორია-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5547 | ბრეშა-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5548 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5549 | მალიორკა-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5550 | ბილბაო-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5551 | სევილია-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 5552 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5553 | დეპორტივო-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | |
| 16.30 | 5416 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 2,3 | 1,65 |
| 19.00 | 5417 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5418 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 5419 | ბოლტონი-ევერტონი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 5420 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 5421 | პორტსმუთი-ლესტერი | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 5422 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,3 | 3,4 |
| 18.30 | 5423 | ბაიერნი-კიოლნი | 1,1 | 5,0 |
| 18.30 | 5424 | ჰამბურგი-ვერდერი | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 5425 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 1,65 | 2,3 |
| 18.30 | 5426 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 5427 | გლადბახი-ლაუტერნი | 1,8 | 2,0 |
| 18.30 | 5428 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 21.00 | 5429 | სიენა-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 23.30 | 5430 | იუვენტუსი-ინტერი | 1,6 | 2,4 |
| 20.00 | 5431 | მურსია-სოსიედადი | 1,9 | 1,9 |
| 22.30 | 5432 | ოსასუნა-რეალი | 2,3 | 1,65 |
| 00.30 | 5433 | ატლეტიკო-მალაგა | 1,55 | 2,5 |
| 00.30 | 5434 | ვალენსია-სარაგოსა | 1,35 | 3,2 |
| | | **30 ნოემბერი** | | |
| 18.00 | 5435 | არსენალი-ფულემი | 1,25 | 3,7 |
| 19.00 | 5436 | ლივერპული-ბირმინგემი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 5437 | სიტი-მიდლსბრო | 1,65 | 2,3 |
| 20.05 | 5438 | ჩელსი-მანჩესტერი | 1,8 | 2,0 |
| 20.30 | 5439 | ჰერტა-შალკე | 1,8 | 2,0 |
| 20.30 | 5440 | ჰანზა-დორტმუნდი | 2,0 | 1,8 |
| 18.00 | 5441 | მილანი-მოდენა | 1,17 | 4,2 |
| 18.00 | 5442 | პარმა-კიევო | 1,55 | 2,5 |
| 18.00 | 5443 | პერუჯა-ემპოლი | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 5444 | რეჯინა-ბოლონია | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 5445 | რომა-ლეჩე | 1,1 | 5,0 |
| 18.00 | 5446 | სამპდორია-ანკონა | 1,35 | 3,2 |
| 23.30 | 5447 | ბრეშა-უდინეზე | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5448 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,75 | 2,1 |
| 20.00 | 5449 | მალიორკა-ბეტისი | 1,75 | 2,1 |
| 20.00 | 5450 | ბილბაო-რასინგი | 1,65 | 2,3 |
| 20.00 | 5451 | სევილია-სელტა | 1,7 | 2,2 |
| 22.00 | 5452 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,3 | 3,4 |
| 24.00 | 5453 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,3 | 3,4 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | | |
| 16.30 | 5016 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 4,6 | 2,15 | 2,05 |
| 19.00 | 5017 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 2,7 | 2,05 | 3,6 |
| 19.00 | 5018 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 2,6 | 2,1 | 3,6 |
| 19.00 | 5019 | ბოლტონი-ევერტონი | 2,6 | 2,1 | 3,6 |
| 19.00 | 5020 | ჩარლტონი-ლიდსი | 2,0 | 2,2 | 5,6 |
| 19.00 | 5021 | პორტსმუთი-ლესტერი | 2,2 | 2,15 | 4,8 |
| 18.30 | 5022 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,65 | 2,8 | 6,0 |
| 18.30 | 5023 | ბაიერნი-კიოლნი | 1,2 | 4,8 | 10,0 |
| 18.30 | 5024 | ჰამბურგი-ვერდერი | 3,1 | 2,1 | 3,1 |
| 18.30 | 5025 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2,35 | 2,1 | 4,4 |
| 18.30 | 5026 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,1 | 3,2 |
| 18.30 | 5027 | გლადბახი-ლაუტერნი | 2,6 | 2,1 | 3,6 |
| 18.30 | 5028 | ბოხუმი-შტუტგარტი | 3,5 | 2,1 | 2,7 |
| 21.00 | 5029 | სიენა-ლაციო | 3,8 | 2,05 | 2,6 |
| 23.30 | 5030 | იუვენტუსი-ინტერი | 2,2 | 2,1 | 5,0 |
| 20.00 | 5031 | მურსია-სოსიედადი | 3,0 | 2,1 | 3,2 |
| 22.30 | 5032 | ოსასუნა-რეალი | 4,8 | 2,4 | 2,25 |
| 00.30 | 5033 | ატლეტიკო-მალაგა | 2,15 | 2,15 | 5,0 |
| 00.30 | 5034 | ვალენსია-სარაგოსა | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| | | **30 ნოემბერი** | | | |
| 18.00 | 5035 | არსენალი-ფულემი | 1,6 | 2,9 | 6,5 |
| 19.00 | 5036 | ლივერპული-ბირმინგემი | 1,95 | 2,25 | 5,6 |
| 19.00 | 5037 | სიტი-მიდლსბრო | 2,25 | 2,1 | 4,8 |
| 20.05 | 5038 | ჩელსი-მანჩესტერი | 2,8 | 2,1 | 3,4 |
| 20.30 | 5039 | ჰერტა-შალკე | 2,6 | 2,1 | 3,6 |
| 20.30 | 5040 | ჰანზა-დორტმუნდი | 3,5 | 2,1 | 2,7 |
| 18.00 | 5041 | მილანი-მოდენა | 1,35 | 3,6 | 8,0 |
| 18.00 | 5042 | პარმა-კიევო | 2,2 | 2,1 | 5,0 |
| 18.00 | 5043 | პერუჯა-ემპოლი | 2,25 | 2,05 | 5,0 |
| 18.00 | 5044 | რეჯინა-ბოლონია | 2,45 | 2,05 | 4,2 |
| 18.00 | 5045 | რომა-ლეჩე | 1,25 | 4,4 | 9,0 |
| 18.00 | 5046 | სამპდორია-ანკონა | 1,75 | 2,45 | 5,6 |
| 23.30 | 5047 | ბრეშა-უდინეზე | 2,8 | 2,05 | 3,5 |
| 20.00 | 5048 | ალბასეტე-ესპანიოლი | 2,5 | 2,1 | 3,8 |
| 20.00 | 5049 | მალიორკა-ბეტისი | 2,5 | 2,1 | 3,8 |
| 20.00 | 5050 | ბილბაო-რასინგი | 2,3 | 2,1 | 4,6 |
| 20.00 | 5051 | სევილია-სელტა | 2,45 | 2,05 | 4,2 |
| 22.00 | 5052 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| 24.00 | 5053 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,75 | 2,45 | 5,6 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 29.11 16.30 | 5601 | ინგლისი პლ (XIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 29.11 18.30 | 5602 | გერმანია ბლ (XIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 29.11 21.00 | 5603 | იტალია A (XI) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 29.11 20.00 | 5604 | ესპანეთი Iლ (XIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 29.11 20.15 | 5605 | საფრანგეთი Iლ (XV) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 28.11 01.00 | 5606 | პორტუგალია სლ (XII) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 29.11 23.00 | 5607 | ბელგია Iლ (XIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 5116 | ვულვერჰემპ.-ნიუკასლი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 19.00 | 5117 | ასტონ ვილა-საუთჰემპ. | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5118 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 5119 | ბოლტონი-ევერტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 5120 | ჩარლტონი-ლიდსი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 5121 | პორტსმუთი-ლესტერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 5122 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 5123 | ბაიერნი-კიოლნი | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,6 | 7,0 | 25,0 | 30,0 | 22,0 | 22,0 |
| 18.30 | 5124 | ჰამბურგი-ვერდერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 5125 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 5126 | აინტრახტი-ვოლფსბ. | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 5127 | მ.გლადბახი-კ.ლაუტერნ3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 | |
| 18.30 | 5128 | ბოხუმი-შტუტგარტი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 21.00 | 5129 | სიენა-ლაციო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.30 | 5130 | იუვენტუსი-ინტერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 5131 | მურსია-სოსიედადი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 22.30 | 5132 | ოსასუნა-რეალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 00.30 | 5133 | ატლეტიკო-მალაგა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.30 | 5134 | ვალენსია-სარაგოსა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5135 | არსენალი-ფულემი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 5136 | ლივერპული-ბირმინგემი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 5137 | სიტი-მიდლსბრო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.05 | 5138 | ჩელსი-მანჩესტერი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.30 | 5139 | ჰერტა-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 20.30 | 5140 | ჰანზა-დორტმუნდი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.00 | 5141 | მილანი-მოდენა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 5142 | პარმა-კიევო | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 5143 | პერუჯა-ემპოლი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5144 | რეჯინა-ბოლონია | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 5145 | რომა-ლეჩე | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 6,5 | 22,0 | 30,0 | 22,0 | 22,0 |
| 18.00 | 5146 | სამპდორია-ანკონა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 23.30 | 5147 | ბრეშა-უდინეზე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 20.00 | 5148 | ალბასეტე-ესპანიოლი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 5149 | მალიორკა-ბეტისი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 5150 | ბილბაო-რასინგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 5151 | სევილია-სელტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 22.00 | 5152 | ბარსელონა-ვალიადოლ. | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 24.00 | 5153 | დეპორტივო-ვილიარ. | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **29 ნოემბერი** | | |
| 16.30 | 5216 | ვულვერჰემპტონი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5217 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5218 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5219 | ბოლტონი-ევერტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5220 | ჩარლტონი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5221 | პორტსმუთი-ლესტერი | 1,8 | 1,8 |
| 18.30 | 5222 | ლევერკუზენი-მიუნხენი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 5223 | ბაიერნი-კიოლნი | 2,2 | 1,5 |
| 18.30 | 5224 | ჰამბურგი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5225 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 5226 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5227 | გლადბახი-ლაუტერნი | 21,95 | 1,65 |
| 18.30 | 5228 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2,0 | 1,6 |
| 21.00 | 5229 | სიენა-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 5230 | იუვენტუსი-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5231 | მურსია-სოსიედადი | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 5232 | ოსასუნა-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 00.30 | 5233 | ატლეტიკო-მალაგა | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 5234 | ვალენსია-სარაგოსა | 1,9 | 1,7 |
| | | **30 ნოემბერი** | | |
| 18.00 | 5235 | არსენალი-ფულემი | 2,1 | 1,55 |
| 19.00 | 5236 | ლივერპული-ბირმინგემი | 2,0 | 1,6 |
| 19.00 | 5237 | სიტი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 5238 | ჩელსი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 5239 | ჰერტა-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 5240 | ჰანზა-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5241 | მილანი-მოდენა | 2,1 | 1,55 |
| 18.00 | 5242 | პარმა-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5243 | პერუჯა-ემპოლი | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5244 | რეჯინა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5245 | რომა-ლეჩე | 2,3 | 1,45 |
| 18.00 | 5246 | სამპდორია-ანკონა | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 5247 | ბრეშა-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5248 | ალბასეტე-ესპანიოლი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5249 | მალიორკა-ბეტისი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 5250 | ბილბაო-რასინგი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 5251 | სევილია-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 5252 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 2,0 | 1,6 |
| 24.00 | 5253 | დეპორტივო-ვილიარეალი | 2,0 | 1,6 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მიზეზი მიზეზად და (ორლან)დოს მარილი აკლია

— 26 ნოემბერი —

**ორლანდო 92:94 ბოსტონი**
**ორლანდო:** ლუ (4), გირიჩეკი (12), მაკ-გრეიდი (24), ჰოვარდი (12), ჰანტერი (4); ჰარვი (16), გუდენი (9), ბოგანსი (5), სტრიკლენდი (4), დეკლერკი (2)
ფაჩულია *სათადარიგო იყო*
**ბოსტონი:** ჯეიმსი (5), პირსი (30), ვე-ლში (4), ბეიკერი (19), ბლუნტი (7); უილიამსი (15), ბრაუნი (5), ბათი (5), ბენქსი (4), მაკარტი

**ფინიქსი 121:90 დალასი**
**ფინიქსი:** ჰარდევეი (20), ჩაბარკაპა (17)
**დალასი:** ჯემისონი (17)

**ფილადელფია 90:86 დეტროიტი**
**ფიდადელფია:** აივერსონი (30)
**დეტროიტი:** ჰამილტონი (19)

**ატლანტა 97:99 ტორონტო**
**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (30)
**ტორონტო:** კარტერი (43)

**მინესოტა 92:97 ნიუ იორკი**
**მინესოტა:** გარნეტი (25), კასელი (23)
**ნიუ იორკი:** მუტომბო (18 ქულა, 17 მოხსნა)

**იუტა 83:76 ჰიუსტონი**
**იუტა:** კირილენკო (23)
**ჰიუსტონი:** მინგი (20)

**ნიუ ორლეანი 82:72 კლივლენდი**
**ნიუ ორლეანი:** დევისი (26), უესლი (21)
**კლივლენდი:** ილგაუსკასი (20)

**სან ანტონიო 109:98 ჩიკაგო**
**სან ანტონიო:** ჯინობილი (17)
**ჩიკაგო:** კარი (19)

**ლეიკერსი 120:99 ვაშინგტონი**
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (22)
**ჩიკაგო:** ტომასი (22), დიქსონი (20),

ქართველებს თავი მოგვაქვს, ნბა-ში სამი კაცი გვყავსო, მაგრამ რა მერე ამით?! აგერ, ბატონო, გერმანელებს ერთი ნოვიცკი ჰყავთ და ბევრ ამერიკელზე უკეთესი. რაღა შორს წავიდეთ, აქვე არაა რუსეთი, ანდრეი კირილენკო დღითი დღე იხვეწება და საცაა, „იუტას" ლიდერიც გახდება.

ზაზა ფაჩულიასგან კარგი არაფერი ისმის. დროც ნაღდად არ მუშაობს მასზე. ზაზამ ხელიდან გაუშვა ეფექტის მოხდენის შანსი, როცა ის მცირე ხნით, მაგრამ მაინც გაჰყავდათ ხოლმე მოედანზე. ახლა კი საერთოდ აღარ ათამაშებენ. დაძაბუნებული „ორლანდო" ისე აგებს, ახალ მწვრთნელ ჯონი დევისს ქართველი ცენტრი საერთოდ მიავიწყდა.

„ორლანდომ" ამჯერად შინ წააგო საშუალო „ბოსტონთან" და უიღბლო სერია 14 მატჩამდე გაზარდა. სამი მარცხიც და ფლორიდელები 11 წლის წინანდელ საკუთარ ანტირეკორდს — ზედიზედ 17 წაგებას მოხსნიან.

გუშინწინ დევისმა ქართველის გარდა ყველა შეგირდი ათამაშა, მათ შორის, ახალწვეული როდ სტრიკლენდიც, რომელსაც ახალ თანაგუნდელებთან ჯერ არც კი ევარჯიშა. მაგრამ საქმეს ვერც ამით ეშველა.

ბოსტონელ „კელტებს" მოაგებინა მათმა ბელადმა პოლ პირსმა. მან 30 ქულიდან 15 ბოლო მეოთხედზე მოუხვეჭა თავისიანებს.

თუ თამაში წაუვიდა, პირსზე სახიფათოა ალენ აივერსონი. „ჭინკას" მომენტი მიეცით და ყველა ხვრელში გაძვრება. აივერსონი გუშინწინ ორმაგად მონდომებული იყო, რაკი ყოფილი დამრიგებელის ლარი ბრაუნის „დეტროიტს" ხვდებოდა.

ოდესღაც ლარის და ალენის ურთიერთობებს ნამდვილად არ ეთქმოდა თბილი. შემდეგ მწვრთნელ-შეგირდს შორის ლამის მამაშვილური „იდილია" დამყარდა, მაგრამ დრომ ესეც წაშალა.

გუშინწინ ბრაუნი ეცადა მის ოდინდელ ქომაგებს გულთბილად შეხვედროდა. იცინოდა, აარონ მაკკისა და ერიკ სნოუს გადაეხვია კიდეც, მაგრამ დარბაზმა მას ობსტრუქცია მოუწყო.

„ფილადელფიელი ფანები საკმარისად ლოიალურნი არიან და მათ იციან, რომ ბრაუნმა ბევრი რამ გააკეთა ჩვენთვის, მაგრამ დღეს ის მაინც მტერია" — ღვარძლიანად თქვა აივერსონმა. ფილადელფიელებმა მას არ აპატიეს „დეტროიტში" გადასვლა და გუშინწინ ბილწი სიტყვებიც უშურველად აფრქვიეს.

„ასეთი რამ არსად მინახავს — შფოთავდა ბრაუნი — ჩემმა შვილებმა ამ საღამოს ბევრი უხამსი სიტყვა მოისმინეს."

და მაინც, მატჩის ბოლოს ალარავის სწყდებოდა გული ბრაუნზე. მასპინძელთა რევანშისტული განწყობა „ფილადელფიის" გამარჯვებამ დააცხრო, „ჭინკა" აივერსონი კი საღამოს გმირი გახდა.

„მე გავიმარჯვე, ბრაუნმა კი წააგო — უხაროდა აივერსონს — ჩვენ ადრე ერთად ვხარობდით მოგებას, მარცხსაც ერთად განვიცდიდით. მე მას ვუთხარი, რომ არაფერზე იდარდოს, ახლა ჩვენს შორის ყველაფერი მოგვარებულია. დღეიდან ლარის წარმატებებს ვუსურვებ."

გუშინწინ თითქმის ყველა ბობოლამ იოლად იმარჯვა ერთი გამონაკლისის გარდა — „დალას მავერიკსი" წინა დღით „დენვერისგან" შერცხვენილ „ფინიქსს" ესტუმრა და უიმედოდ დამარცხდა.

ისე გამოვიდა, რომ „მზეებმა" სეზონის უცუდეს მატჩს საუკეთესო მოაყოლეს, „დალასი" 31 ქულით ძლიეს. მოგება მოგებად და, ფინიქსელები ნამატჩევს მრისხანებას ვერ მალავდნენ დალასელი დენი ფორტსონის უმსგავსო საქციელის გამო. დალასელთა გაუთლელმა მეფარემ ფინიქსელთა სიფრიფანა ახალბედა ჟარკო ჩაბარკაპა ისე დაამტვრია, რომ სერბი სავარაუდოდ ორ თვეს ვერ ითამაშებს.

„ის ჯალათია და ყოველთვის ასეთი იყო — ფორსტონს აძაგებს „ფინიქსის" მესაკუთრე ჯერი კოლანჯელო — მან ამ საქციელისთვის პასუხი უნდა აგოს. ფორსტონმა განზრახ დაამტვრია ჩაბარკაპა და მას მანამ არ უნდა მიეცეს თამაშის ნება, სანამ ჩაბარკაპა არ მომჯობინდება."

მართალია, შემდეგ ფორტსონმა ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ ბოდიში — თქვენც მოგეხსენებათ — წამლად ვერ გამოდგება.

**ირაკლი ბერტაია**



ალენ აივერსონი ლარი ბრაუნის დამარცხებაზე ოცნებობდა და აუხდა კიდეც

REUTERS

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | |
| **ატლანტიკა** | | | |
| ფილადელფია | 8 | 8 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 7 | 46,2 |
| ბოსტონი | 6 | 8 | 42,9 |
| ვაშინგტონი | 6 | 9 | 40,0 |
| ნიუ იორკი | 6 | 9 | 40,0 |
| მაიამი | 4 | 11 | 26,7 |
| ორლანდო | 1 | 14 | 6,7 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 12 | 2 | 85,7 |
| ნიუ ორლეანი | 11 | 5 | 68,8 |
| დეტროიტი | 10 | 6 | 62,5 |
| მილუოკი | 7 | 7 | 50,0 |
| ტორონტო | 7 | 7 | 50,0 |
| ატლანტა | 5 | 11 | 31,3 |
| კლივლენდი | 4 | 11 | 26,7 |
| ჩიკაგო | 4 | 12 | 25,0 |
| **დასავლეთი** | | | |
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 10 | 5 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 9 | 5 | 64,3 |
| სან ანტონიო | 9 | 6 | 60,0 |
| დენვერი | 8 | 6 | 57,1 |
| იუტა | 8 | 6 | 57,1 |
| მინესოტა | 8 | 7 | 53,3 |
| მემფისი | 6 | 7 | 46,2 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 12 | 3 | 80,0 |
| საკრამენტო | 10 | 4 | 71,4 |
| სიეტლი | 7 | 5 | 58,3 |
| ფინიქსი | 7 | 7 | 50,0 |
| პორტლენდი | 7 | 7 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 7 | 46,2 |
| კლიპერსი | 4 | 6 | 40,0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მურნინგის თირკმელმა ნიუ ჯერსისაც ავნო

*ალონზო მურნინგის კალათბურთიდან წასვლამ უმძიმეს დღეში ჩააგდო „ნიუ ჯერსი ნეთსი". გარდა იმისა, რომ ვიცე-ჩემპიონებს ძალუმი მოთამაშე მოაკლდათ, მათ ის ფულიც ტვირთად დააწვებათ, მურნინგს ხელფასის სახით ოთხი წელი რომ უნდა უხადონ*

მურნინგი „ნეთსში" ამ რამდენიმე თვის წინ ჩაირიცხა ოთხი წლით და დაახლოებით 22,6 მილიონად, მაგრამ ერთი სრული თვეც არ უთამაშია, რომ ძველმა უკურნებელმა სენმა, თირკმელების გლომეროლოსკლეროზმა თავი შეახსენა და კალათბურთის მოედანი სამუდამოდ დაატოვებინა.

ახლა „ნეთსი" იძულებულია, უქმ მოთამაშეს ოთხი წელი აძლიოს ხელფასი, რაკი გუნდს „ზოს" ტრავმა დაზღვეული არ ჰქონია. რომელი ჭკუათმყოფელი ფირმა დააზღვევდა მურნინგს, რომელსაც ბოლო სამი სეზონიდან ერთი სრულად, მეორე თითქმის სრულად და მესამე ნაწილობრივ გააცდენინა ავადმყოფობამ.

ამ 23 მილიონის უქმად მოცდენას როგორმე გადაიტანდა „ნიუ ჯერსი", მაგრამ საქმე ისაა, რომ ორიოდ თვის წინ კლუბს თითქმის ასეთივე უსიამოვნება შეექმნა მურნინგის წინამორბედ ცენტრ დიკემბე მუტომბოსთანაც. მუტომბომ მხოლოდ ერთი ტრავმიანი სეზონი მოილია „ნეთსის" მაისურით და მერე ისე დაიმტვრა, კლუბმა მასზე ხელი ჩაიქნია. „ნეთსის" პრეზიდენტმა როდ თორნმა დაახლოებით 25 მილიონად გამოისყიდა მუტომბოს კონტრაქტი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ფული უფეშქაშა ბებერ მოთამაშეს, ოღონდ თავი დაგვანებეო.

ამგვარად, „ნიუ ჯერსის" ბოსებმა რამდენიმე თვეში თითქმის 50 მილიონი იზარალეს და აქა-იქ ხმებიც დაირხა, კლუბს გაყიდიანო, თუმც მხოლოდ ჭორების დონეზე. თორნმა თქვა, ჩვენი ფინანსური ჯგუფი — რომელიც აგრეთვე ფლობს ბეისბოლის გიგანტ „ნიუ იორკ იანკიზს" — არაფრის გაყიდვას არ აპირებსო.

ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ბოლო ორი სეზონის აღმოსავლეთის ჩემპიონს მოედანზეც აეწეწა საქმეები. მართალია, „ბადეები" მეორე ადგილზე მიდიან ატლანტის დივიზიონში, მაგრამ არცთუ საამაყო მაჩვენებლით, 15 მატჩიდან ექვსი გამარჯვებით და შვიდი მარცხით.

**კოტე ყორშია**

# ხარები სკოტს ჩააბარეს

„ჩიკაგო ბულზის" დროებით თავკაცს პატ მაიერსს რაიმეს შეცვლის პრაქტიკული შანსი არც მისცემია. ზედიზედ ბევრი წაგების გამო „ბულზიდან" დათხოვილი ბილ კარტრაიტის შემდეგ მისმა პირველმა ასისტენტმა ოდენ ვეშაპებთან „დალასსა" და „სან ანტონიოსთან" გაიყვანა „ხარები". რა გასაკვირია და მაიერსმა ორივე თამაში წააგო, ახლა კი შეიტყო, რომ მისი სამთავარმწვრთნელო კარიერა უკვე ამ ორი მარცხის შემდეგ დაკონსერვდება. „ჩიკაგოს" ბოსებმა იპოვეს კარტრაიტის ხანგრძლივი შემცვლელი — სკოტ სკაილზი და როგორც კი ეს კაცი საქმეს შეუდგება, პიტ მაიერსი კვლავ ასისტენტებში გადაინაცვლებს.

სკოტ სკაილზი, კარტრაიტისა და მაიერსის არ იყოს, ძველი მოთამაშეა, ოღონდ თეთრკანიანი. მას ეკუთვნის ერთ თამაშში გაკეთებული პასების რეკორდი — 1999 წელს „ორლანდოში" თამაშისას „დენვერის" წინააღმდეგ 30 პასი გააკეთა. 1999-01 წლებში ის „ფინიქს სანზს" მეთაურობდა და არცთუ ცუდად.





„ჩიკაგოს" ისევ შეეცვალა მეთაური. „ხარებს" სკოტ სკაილზი (მარჯვნივ) გაწვრთნის, პიტ მაიერსი კი ახლა მისი ასისტენტი იქნება

## დევისის თასი. ფინალი მელბურნი

# სადა ბალახობ...
## ოზები ესპანეთსაც გაამწვანებენ

*წლევანდელი საჩოგბურთო სეზონის დახურვამდე ხუთი მატჩის ჩათამაშებაღა დაგვრჩა. ამ ხუთმატჩეულმა დევისთასის წლევანდელი ჩემპიონი უნდა გაარკვიოს – ამბავი მელბურნში მოხდება და იქაურ ბალახსაფარზე ავსტრალიელები ესპანელებს დაუხვდებიან*


REUTERS მელბურნიდან

ვის მოხვდება სკადის დარტყმული?

ოზები და იბერიელები დევისფინალში ერთმანეთს აქამდეც რკენიან — 1922, 1965 და 1967 წლებში პირველებმა იმარჯვეს, მათი ბოლო, სამიწლისწინანდელი შეხლისას კი გამარჯვება მეორეებს დარჩათ. ეს უკანასკნელი ფინალი ბარსელონურ თიხნარზე შედგა. მაშინ ოზთა მხრიდან კენტად ლეიტონ ჰიუიტმა და პატრიკ რაფტერმა იჩოგნავეს, ესპანელთაგან კი — ალბერტ კოსტამა და ხუან კარლოს ფერერომ. ჰიუიტმა კოსტას მოუგო, ხოლო ფერეროსთან ისიც და რაფტერიც დამარცხდნენ. გადამწყვეტი სწორედ ფერეროს მიერ ჰიუიტის ძლევა აღმოჩნდა, რაკილა მათ შეხვედრამდე ბალსელს-ფორაგერასა და კორეჩას წყვილს უკვე სტოლლე-ვუდბრიჯის წყვილი დაემარცხებინა. რაფტერისა და კორეჩას შეხვედრა აღარ გამართულა...

ჰიუიტს, ვინაც წლეულს საზიზღრად იჩოგნავა და მსოფლიო რეიტინგსიაში მე-18 ადგილამდე ჩასრიალდა, ახლა რევანშის საუცხოო შესაძლებლობა ეძლევა. გუშინდელი წილისწყრის შედეგად პირველ მატჩს იგი სწორედ ფერეროსთან გამართავს და, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მძიმე სეზონით გადაღლილი ესპანელისთვის ბალახი სათუთლფე საფარი ისედაც არ არის, ჰიუიტს გამარჯვების მეტი შანსი უნდა ჰქონდეს.

ეჭვს თითქოს არც მეორე საერთეულო შეხვედრის ბედის იწვევს — მარკ ფილიპუსისი უიმბლდონის წლევანდელი ფინალისტია, ხოლო კარლოს მოიას, ვინაც მას დღეს უნდა ედავოს, ბალახზე 2002 წლის ჰალეური ტურნირის შემდეგ აღარ უბურთავია.

შაბათს მოია უკვე ჰიუიტს დაეჯახება, ხოლო ფერერო — ფილიპუსისს, მაგრამ ამ მატჩების გამართვა ეგებ საჭიროც აღარ იყოს, მანამდე გასამართ საწყვილო განდაგანაში ტოდ ვუდბრიჯისა და უეინ ართურსის ჯუფთი ალექს კორეჩასა და ფელისიანო ლოპესისას თუ დაჯაბნის.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთს დევისთასი მხოლოდ ამ სამი წლის წინ მოუგია, ავსტრალიას კი — ოცდაშვიდჯერ. ბოლოჯერ ოზებმა 1999 წელს იმარჯვეს, როცა თიხნარზე ფრანგებს გაუმკლავდნენ, თუმცა იმავ ფრანგებთან ორი წლის მოგვიანებით უკვე მელბურნულ ბალახზე დათმობა მოუხდათ.

ახლა პირად ანგარიშებს რაც შეეხება. ჰიუიტსა და ფერეროს ერთმანეთში ექვსჯერ უთამაშიათ და ორივე სამ-სამ გამარჯვებას მოიძევს. მოია ფილიპუსისსაც უგებს 4:2 და ჰიუიტსაც 5:3. სკადი კი ფერეროსთანაც მარცხდება — 0:2.


REUTERS მელბურნიდან

ლეიტონ ჰიუიტი და ხუან კარლოს ფერერო ამ თასის გულისთვის ერთხელ უკვე დაეტაკნენ ერთმანეთს

სულ ბოლოს კი იმას მოგაგონებთ, რომ ფინალამდე ავსტრალიამ სიდნეიში 4:1 სძლია ბრიტანეთს, მერე მალმიოში 5:0 დაჩოგნა შვედეთი და ნახევარფინალში, რაიც მელბურნულ მაგარსაფარზე გაიმართა, შვეიცარიას 3:2 აჯობა. ესპანელთა მიერ გავლილი გზა კი ასეთია: სევილიაში ბელგიის განადგურებას 5:0, მათ ვალენსიაში ხორვატთა ამგვარივე გაიმასქნება მოაყოლეს, ხოლო ნახევარფინალში — მალაგაში რომ ჩატარდა — მათ 3:2 სძლიეს არგენტინელებს.

**ლევან ძელაურაძე**



*მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს თხოვნით მიმართა, იქნებ ოლიმპიური ჩირაღდანი თავის ხანგრძლივი ოდისეისას საქართველოშიც გამოატაროთო, ვიმედოვნებდით, რომ ამ ცეცხლს მართლაც ვიხილავდით. სამწუხაროდ, იმედები გაგვიცრუვდა. გუშინ საბოლოოდ დაიხაზათ 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის საესტაფეტო მარშრუტი, ჩირაღდნის გზა საქართველოზე არ გაივლის*

# ვწუხვართ, საქართველოს ცეცხლი ასცდა

ჩირაღდანი ევროპაში ძირითადად იქ გაივლის, სადაც ერთხელ მაინც ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური ჩირაღდანი ტრადიციისამებრ ანტიკურ ოლიმპიაში აგიზგიზდება, იგი შემდეგ 35 დღის განმავლობაში 27 ქვეყანაში გაივლის. ამასთან, ჩირაღდანი პირველად მოხვდება აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ოლიმპიურ ცეცხლს სულ 33 არაბერძნულ ქალაქში იხილავენ.

თავდაპირველად, ჩირაღდანი ოლიმპიიდან ათენში ჩავა, იქიდან კი გადააფრენენ სიდნეიში, სადაც მას პირველ ეტაპზე ხელს შეავლებს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ავსტრალიელი აბორიგენი კეტი ფრიმენი, რომელიც სიდნეის ოლიმპიური თამაშების მთავარი მეჩირაღდნე იყო. ამის შემდეგ, ჩირაღდანი მოხვდება ასევე ოლიმპიურ მელბურნში, ტოკიოში, სეულში და 2008 წლის მასპინძელ პეკინში. იქიდან საჩირაღდნო ესტაფეტა გაგრძელდება დელიში, კაიროში, კეიპტაუნში, რიო-დე-ჟანეიროში და ერთმანეთის მიყოლებით მოხვდება ასევე ოლიმპიურ ქალაქებში: მეხიკოში, ლოს ანჯელესში, სენტ ლუისსა და ატლანტაში. აქედან თავს ამოჰყოფს ნიუ იორკში, მერე კი რიგში ისევ ოლიმპიური ქალაქები მონრეალი და ანტვერპენი დგანან. მათ მოჰყვება ბრიუსელი, ოლიმპიური ამსტერდამი, არაოლიმპიური ჟენევა და ოლიმპიურ დედაქალაქთა დედაქალაქი ლოზანა. აქედან მარშრუტი გაგრძელდება ასევე ოლიმპიურ პარიზში, ლონდონში, ბარსელონაში, რომში, მიუნხენში, ბერლინში, სტოკჰოლმში, ჰელსინკში, მოსკოვში, კიევში და ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მოწადინე, მაგრამ ორჯერ ხელმოცარულ სტამბულში. მერე ოლიმპიური ცეცხლი სოფიასა და ნიქოზიას გაანათებს, ბოლოს კი, 13 აგვისტოს, კვლავ ათენს დაუბრუნდება.

ოლიმპიური ჩირაღდნის დანთების ცერემონიალი გაიმართება 25 მარტს, იმ დღეს, როცა ათენში 1896 წელს თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი გაიმართა.

ოლიმპიაში ჩირაღდანს ისე, როგორც 2000 წელს სიდნეის თამაშებისას, დაანთებს ბერძენი მსახიობი ტალია პროკოპიუ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ტალია პროკოპიუ ზედიზედ მეორედ აანთებს ოლიმპიურ ჩირაღდანს

# ოლიმპიელ ქალებს დრო და ადგილი დაუთქვეს

**გუშინ** ფიბა-მ ის თარიღი დათქვა, როცა ათენის ოლიმპიადის ქალთა საკალათბურთო ტურნირის მონაწილეებს დააჯგუფებენ. 26 იანვარს ათენში 12 ქვეყნის ნაკრებებს ორად გაყოფენ, რომელთაგან 4-4 საუკეთესო გააგრძელებს ოლიმპიური ოქროსთვის ბრძოლას.

ჯერჯერობით 8 მონაწილის ვინაობაა ცნობილი. მსოფლიოს ჩემპიონმა ამერიკამ და ოლიმპიადის მასპინძელმა საბერძნეთმა ავტომატურად დაიბევეს ტურნირში ადგილი. აი, მსოფლიოს ჩემპიონატის ის მოწინავენიც, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საოლიმპიადო საგზურები: ბრაზილია, ჩეხეთი, ესპანეთი, რუსეთი, ახალი ზელანდია და ავსტრალია.

დარჩენილ ოთხ საგზურს აზიაში და აფრიკაში გასამართ საკონტინენტო ჩემპიონატებში ნაყოჩაღევი ნაკრებები ირგუნებენ. 2004 წლის 13-19 იანვარს იაპონიაში აზიური გუნდები იპაექრებენ 3 საოლიმპიადო საგზურისთვის, აფრიკიდან კი მხოლოდ ჩემპიონი წავა ათენში, რომელიც დეკემბრის ბოლოს მოზამბიკში გამოვლინდება.

**ირაკლი პერტაია**

*მომავალ შაბათს ლონდონი ძიუდოისტთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. შარშან დელ ჩემპიონ საქართველოსთან ერთად იქ მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპი ინგლისმა, ესპანეთმა და უკრაინამ გადალახეს. ახლა ისინი ერთმანეთს დაეჭიდებიან, მაგრამ, შესაძლოა, შოთა ხაბარელის გუნდი ბრიტანეთს ვერ გაემგზავროს*

# გული აქვთ და ფული არა

## ძიუდოისტები უსახსროდ სახსარს ვერ გაშლიან

**დებულების** თანახმად, ძირითად შემადგენლობასთან ერთად მწვრთნელებს განაცხადში სათადარიგო მოჭიდავეთა შეყვანის უფლებაც აქვთ, მაგრამ ჩვენი ნაკრებისთვის ეს წესი არასრული დაფინანსების გამო ადრევე გამოირიცხა. ფულის აღება ველარ ხერხდება და ინგლისში გასამგზავრებლად საჭირო 30 ათასი ჯერაც ფინანსთა სამინისტროში დევს. თუ ეს პრობლემა მალევე არ მოგვარდა, მოსალოდნელია, საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენ ძიუდოისტებს გვარიანი ჯარიმა დააკისროს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართული ძიუდოს თავკაცები სპეციალური პრესკონფერენციის გამართვას გეგმავენ, ნაკრები კი სეზონის ბოლო ტურნირისთვის ვაკის დარბაზში მაინც გამალებით ემზადება. ხაბარელმა უკვე შემადგენლობაც დაასახელა, რომელშიც რამდენიმე ახალი, მაგრამ გამოცდილი მოჭიდავე შევიდა.

73 კილოგრამში საბრიტანეთოდ გიორგი რევაზიშვილი ემზადება. დავით ქევხიშვილმა მენისკის ოპერაციის შემდეგ მართალია, ვარჯიში განაახლა, მაგრამ ჩვეული კონდიციების აღდგენას ჯერ ვერ ახერხებს. 81-ში გრიგოლ მამრიკიშვილის ადგილს დავით ნადარაია დაიკავებს. ეს წონა საქართველოს ნაკრების სუსტი წერტილია და ოპტიმალური ვარიანტის გამოსაძებნად მწვრთნელი ხშირ ცვლილებებს მიმართავს. მძიმე წონაში კი პირიქით, დიდი კონკურენციაა და ამჯერად თავის გამორჩენის შანსი ტრადიციულ ქართულ ჭიდაობაში „ოპელის" მომგებ ალექსი დავითაშვილს მიეცემა.

ორკვირიანი იძულებითი დასვენება მოუხდა მსოფლიოს ექსჩემპიონ ზურაბ ზვიადაურს, მაგრამ საევროპო განაცხადიდან მაინც არ ამოვარდნილა. ერთადერთმა ქართველმა ლიცენზიოსანმა ძიუდოისტმა ხელის ტრავმა სულ ახლახან მოირჩინა, უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და სასურველ ფორმაში ჩადგომამდეც ბევრი აღარ უკლია.

**ოთარ მაღლაკელიძე**



გიორგი რევაზიშვილი ნაკრებს უბრუნდება

**საქართველოს ნაკრები**

| | | |
|---|---|---|
| 60 კგ | — | ნესტორ ხერგიანი |
| 66 კგ | — | დავით მარგოშვილი |
| 73 კგ | — | გიორგი რევაზიშვილი |
| 81 კგ | — | დავით ნადარაია |
| 90 კგ | — | ზურაბ ზვიადაური |
| 100 კგ | — | ივერი ჯიქურაული |
| მძიმე | — | ალექსი დავითაშვილი |



# შვილი ჯობია მამასა?!

## უილიამსი ნელსონ პიკეს ბიჭს კბილს უსინჯავს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1-ის** ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის „ბმვ-უილიამსის" პრესსამსახურმა მოტოსამყაროში ინფორმაცია დაარხია, სერ ფრენკ უილიამსი თავის საჯინიბოში 17 წლის ბრაზილიელი მრბოლის ნელსონ ანჟელო პიკეს მოწვევას აპირებსო. ლეგენდარული ნელსონ პიკეს ვაჟიშვილი, რომელიც ორი წელია, საჭეს უზის და ჯერჯერობით დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. მისი მიღწევა ბრიტანულ ფორმულა 3-ის წლევანდელ ჩემპიონატში მხოლოდ მესამე ადგილია, თუმცა ტალანტების აღმოჩენაში ჭიპმოჭრილი 61 წლის ბოსისთვის ესეც საკმარისი საბუთია.



ნელსონ პიკე-უფროსი შვილის მომავლით წინასწარ ხარობს

გახარებულმა მამა ნელსონმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ ბრიტანულმა საჯინიბომ მის ვაჟს შვიდწლიანი კონტრაქტი შესთავაზა — „ნელსინიო ორი წელი ტესტ-პილოტად იმუშავებს, მერე კი ხუთი წლით ძირითადი მძღოლი გახდება."

როგორც წესი, „სამეფო რბოლების" გუნდები ხანგრძლივ ხელშეკრულებებს ბევრ პერსპექტიულ ჭაბუკთან კი აფორმებენ, რათა მომავალში მათზე უფლებები დაიბევონ, მაგრამ ამდენი ხნით თანამშრომლობის დაჯავშნა მაინც არარეალური ჩანს.

ჯერჯერობით ნაღდი ისაა, რომ პატარა პიკე ხუთიოდ დღეში ესპანეთში „უილიამსის" ტესტებისას საქმეში გამოიცდება და „რკინის ფრენკიც" საბოლოო გადაწყვეტილებას ალბათ მერელა მიიღებს.

მამა პიკე საფორმულო ტრეკებზე 14 წელი დაჯირითობდა, 204 რბოლიდან 23 მოიგო და სამჯერ მსოფლიოში უძლიერესიც გახდა, აქედან 1987 წელს სწორედ ფრენკ უილიამსის მანქანით, ხოლო 1981 და 1983 წლებში ძველი ჩემპიონის ჯეკ ბრებემის გუნდში.

სხვათა შორის, „სამეფო რბოლების" კარს ასევე სამგზის ჩემპიონ ნიკი ლაუდასა და 1982 წლის ჩემპიონ კეკე როსბერგის შვილებიც უკაკუნებენ.

**გია ახალაძე**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!**

2003 წლის 2 დეკემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი) გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

*დასაწყისი 16 საათზე*

სსჟა-ს აღმასკომი



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ბედი რჩეულებს ღალატობს

— 26 ნოემბერი —

**ანაჰაიმი 3:3 ნიუ ჯერსი**

*1:1 1:0 1:2 0:0*

**0:1 რაფალსკი (19), 1:1 სიკორა (20), 2:1 ფიოდოროვი (35), 2:2 ელიაში (44), 2:3 მედვენი (50), 3:3 ფიოდოროვი (59)**

რაღაზე უნდა ოცნებობდეს „ეშმაკთა" კაპიტანი სკოტ სტივენსი, როცა ამერიკელთა ყველაზე საყვარელ დღესასწაულზე, მადლიერების დღეს, ლიგის რეკორდსმენი მცველი გახდა ჩატარებული თამაშების რაოდენობით. მან 1616-ედ ისრიალა ნჰლ-ში და ლარი მერფის გაუსწრო. თან მისმა გუნდმა მორიგი ქულა მოიპოვა და 13-მატჩიანი წაუგებელი სერიით კლუბის რეკორდი გაიმეორა. სტივენსს ახლა მხოლოდ სამი ლეგენდარული ფორვარდი — გორდი ჰოუ, მარკ მესიე და რონ ფრენსისილა უსწრებენ.

ფრენსისს მეტისთვისაც შეიძლებოდა მიეღწია. თუ გუნდი მოიგებდა, სკოტი ლიგაში პირველი მოთამაშე ხდებოდა, ვისაც პლეი ოფის ჩათვლით 1000 გამარჯვება უზეიმია. თანაც სტენლის თასის ფინალში ხომ „ნიუ ჯერსიმ" სამივე გასვლითი მატჩი წააგო ანაჰაიმში. მაშ, რატომ უნდა დაკმაყოფილდეს ადამიანი მიღწეულით, როცა შეიძლება, უფრო შთამბეჭდავი იყოს დიდება...

თანაც ვეტერანმა კინაღამ თავისივე ხელით გამოჩარხა ეს ტრიუმფი. ოვერტაიმში სტივენსის დარტყმის შემდეგ სერგეი ბრილინმა დამატებაზე იხეირა, მაგრამ ვიდეოფირზე აშკარად გამოჩნდა, რომ რუსმა ფეხით გაიტანა.

**ფლორიდა 3:3 რეინჯერსი**

*2:1 1:2 0:0 0:0*

**0:1 მესიე (5), 1:1 ვ. ბურე (11), 2:1 იოკინენი (14), 3:1 იოკინენი (21), 3:2 ლინდროსი (25), 3:3 მირონოვი (39)**

იმავე დღეს მარკ მესიესაც შეეძლო თავისი სახელის ერთხელაც შეტანა ისტორიის წიგნში — იგი პირველი მოთამაშე გახდებოდა ნჰლ-ში, ვის ანგარიშზეც 1000 მოგება ჩაიწერებოდა. ძალიან მოიწადინა ნიუიორკელთა კაპიტანმა, ანგარიშიც გახსნა, მაგრამ მერე მოვლენები ისე განვითარდა, „რეინჯერსს" ფრეც სამადლო გაუხდა.

**ბუფალო 5:2 ვაშინგტონი**

*1:1 4:0 0:1*

**0:1 ლანგი (2), 1:1 კალინინი (20), 2:1 კოტალიკი (28), 3:1 შატანი (34),4:1 შატანი (37), 5:1 დიუმონი (38), 5:2 ჩერნიკი (48)**

ბედმა მთლად ზურგი აქცია იაროგირ იაგრს. სატრფომ მიატოვა, მშობლები გვერდით არ ჰყავს და „ვაშინგტონისკენაც" სულაც არ მიუწევს გული... ამ ბოლო დროს თითქოს დაძლია ფსიქოლოგიური პრობლემები, ათამაშდა კიდეც, ამჯერადაც მეორე წუთზევე დაეხმარა თანამემამულე რობერტ ლანგს გოლის გატანაში, მაგრამ... ამის შემდეგ სულ მალე დაშავდა და იძულებული გახდა, ყინული მიეტოვებინა. ერთი სიტყვით, დაინავსა იაგრი. თან სწორედ მაშინ დაშავდა, როცა პრესაში გაჩნდა ცნობა მისი სავარაუდო გაცვლის თაობაზე. რამდენიმე საათიც და თურმე „რეინჯერსში" აღმოჩნდებოდა.

**პიტსბურგი 1:1 ბუფალო**

*1:0 0:1 0:0 0:0*

**1:0 ტარნსტრიომი (20), 1:1 შუონარი (35)**

**დეტროიტი 7:1 ედმონტონი**

*2:0 2:1 3:0*

**1:0 აიზერმანი (10), 2:0 ბუტლენდი (20), 3:0 შენაჰანი (23),3:1 დვორჟაკი (24), 4:1 ჰალი (40), 5:1 დრეიპერი (47), 6:1 დრეიპერი (56), 7:1 ტომასი (58)**

**მინესოტა 1:3 დალასი**

*1:0 0:2 0:1*

**1:0 უიმერი (14), 1:1 გერინი (21), 1:2 ჩერნკვისტი (29), 1:3 გერინი (60)**

**აილენდერსი 0:2 კაროლინა**

*0:2 0:0 0:0*

**0:1 ვასიჩეკი (15), 0:2 ჰედიკანი (18)**

**ნეშვილი 4:2 კოლუმბუსი**

*2:1 0:0 2:1*

**0:1 ნეში (2), 1:1 ჰოლი (8), 2:1 უოკერი (14), 3:1 ორზაგი (42), 4:1 უოკერი (46), 4:2 მელტრა (58)**

**სან ხოსე 3:2 ჩიკაგო**

*0:0 3:1 0:1*

**1:0 დიმიტრაკოსი (22), 1:1 დემპსი (23), 2:1 ეკმანი (36), 3:1 ერჰოფი (35), 3:2 ნიკოლი (58)**



REUTERS ფოტო

ჩხუბიც ამას ჰქვია. რეინჯერმა კრის საიმონმა და ფლორიდელმა გრანტ მაკნილმა (მარჯვნივ) ერთმანეთს თავ-პირი დაალეწეს

**NHL**

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 20 | 12 | 5 | 1 | 2 | 61:37 | 30 |
| ნიუ ჯერსი | 20 | 12 | 5 | 0 | 3 | 53:33 | 29 |
| რეინჯერსი | 22 | 8 | 5 | 2 | 7 | 58:55 | 23 |
| აილენდერსი | 20 | 9 | 2 | 0 | 9 | 58:48 | 20 |
| პიტსბურგი | 20 | 5 | 4 | 1 | 10 | 37:68 | 15 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 21 | 11 | 3 | 4 | 3 | 59:48 | 29 |
| ტორონტო | 22 | 9 | 5 | 2 | 6 | 54:60 | 25 |
| ბუფალო | 23 | 10 | 2 | 1 | 10 | 52:58 | 23 |
| ოტავა | 20 | 9 | 2 | 2 | 7 | 65:49 | 22 |
| მონრეალი | 22 | 9 | 1 | 1 | 11 | 46:54 | 20 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 18 | 11 | 3 | 1 | 3 | 47:31 | 26 |
| ატლანტა | 23 | 11 | 3 | 1 | 8 | 68:65 | 26 |
| ფლორიდა | 24 | 9 | 3 | 0 | 12 | 53:65 | 21 |
| კაროლინა | 22 | 6 | 7 | 0 | 9 | 43:53 | 19 |
| ვაშინგტონი | 22 | 6 | 1 | 1 | 14 | 54:66 | 14 |

**დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 19 | 13 | 0 | 1 | 5 | 52:43 | 27 |
| დეტროიტი | 23 | 12 | 2 | 0 | 9 | 73:57 | 26 |
| ნეშვილი | 21 | 10 | 1 | 0 | 10 | 54:57 | 21 |
| ჩიკაგო | 23 | 6 | 4 | 3 | 10 | 43:64 | 19 |
| კოლუმბუსი | 22 | 7 | 3 | 1 | 11 | 46:59 | 18 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 23 | 13 | 2 | 2 | 6 | 74:52 | 30 |
| კოლორადო | 21 | 12 | 1 | 1 | 7 | 64:52 | 26 |
| ედმონტონი | 22 | 10 | 3 | 0 | 9 | 65:69 | 23 |
| კალგარი | 19 | 9 | 0 | 2 | 8 | 39:44 | 20 |
| მინესოტა | 22 | 8 | 3 | 0 | 11 | 50:54 | 19 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 23 | 10 | 3 | 0 | 10 | 55:59 | 23 |
| ლოს ანჯელესი | 20 | 10 | 1 | 1 | 8 | 50:45 | 22 |
| ანაჰაიმი | 22 | 7 | 3 | 5 | 7 | 48:58 | 22 |
| სან ხოსე | 22 | 6 | 8 | 2 | 6 | 56:57 | 22 |
| ფინიქსი | 21 | 6 | 5 | 1 | 9 | 49:66 | 18 |

# სარეკლამო ვიზიტი

გაისად, სექტემბერში, ჩინეთის სატახტო ქალაქმა საჩოგბურთო ღია პირველობას უნდა უმასპინძლოს. სახელიანი მეჩოგნენი პარადორნ შრიჩაფანი და მარატ საფინი პეკინს სწორედ ამ ტურნირის სარეკლამოდ ეწვივნენ. ფოტო მათ „ზეციური ტაძრის" ეზოში თოვლის მოხვეტისას გადაუღეს.

REUTERS პეკინიდან



# თხილამურმაისტერი

REUTERS ლეიკ ლუიზიდან



კაცთა პირველი სწრაფდაშვება კანადაში, ლეიკლუისურ ფერდობებზე უნდა მოხდეს. ჰოდა, იქვეა ავსტრიელი თხილამურმაისტერი ჰერმან მაიერიც, ვინაც ჩასაქროლი მანძილი იმ დღეს წუთსა და 50,98 წამში ჩაისრიალა.

REUTERS ვალენსიიდან



# იახტთასი

ამერიკის თასს, რაიც საერთაშორისო აფროსნობის უძველეს ჯილდოდ ითვლება, 2007 წელს ვალენსია უმასპინძლებს. შეჯიბრის წლევანდელ გამარჯვებულ გუნდს, შვეიცარიულ „ალინგის", ცხადია, ამერიკის თასი სამშობლოსთვის სურდა, მაგრამ წესების თანახმად თასი მხოლოდ ღია ზღვაში უნდა გათამაშდეს. ეს მომღიმარი თასმპყრობელი კაცი კი ვალენსიელთა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ხოსე სალინასია.

# ალის ფოკუსი

ლეგენდარულ მძიმეწონოსან მოკრივე მუჰამედ ალის მის მიერ გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად ჰამბურგში „მილენიუმ ბამბის" ჯილდო გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიალზე დიად მემუშტეს აი, ეგეთი ჯადოფოკუსი გაუკეთებია.

REUTERS ჰამბურგიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან ლარსაყელიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge